ปีกาวชาติ
9

მუშათა საქმისათვის: იქავ მზად!

პიონერი

№ 9

15 მაისი
1931
წელიწადი მე-6

პიონერების და მოზარდოვანთა საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი.

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი—ბავშვთათვის.

რედაქციის მისამართი:
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 22.

სახელგამი,
საგავმო სექცია

მ ი ნ ა ა რ ს ი

— პიონერთა საგაზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობა—**მ. გორგაძე.**
— პიონერები ბანაკად **გ. შატბერაშვილი**
— პიონერები წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლაში—**გია.**
— მაგნიტოსტროი.
— პიონერებო, პირით ტრანსპორტისაკენ—**განი.**
— აი, იგი, ამერიკა.
— პიონერის რედაქციისაგან.
— პოლიტეხნიზაცია ჩვენს სკოლაში—**მ. ფარულავა**
— აი, ხელმძღვანელი?—**ახკორი.**
— სად არის ფული—**პიონერი.**
— **იბრძოლეთ პოლიტეხნიზმისათვის თ-ნი**
— მეკანო—**შ. თ.**
— ოლეგი—**ს. ერთაწმინდელი.**
— დავით კლდიაშვილი.
— 518—1040—**ავთანდილ კაშმაძე.**
— ბრძოლა მინდვრის მავნებლებთან—**ა. აკოპოვი.**
— ვინ არის მართალი?
— თამაშობანი—**მ. გორგაძე.**
— მიწის ძვრა ნახიჩევანის ს.ს. რესპუბლიკაში.

ყმაწვილ პიონერებო!

გამოიწერეთ, იკითხეთ — და — გაავრცელეთ

|თქვენი ჟურნალი|

„პიონერი“

სარედაქციო კოლეგია: ს. აბულაძე (პ/მბ. რედაქტორი) კ. მელაძე, შ. თაბუკაშვილი ა. მახარაძე, ალ. გველესიანი, ბ. საათაშვილი

3-47-

პიონერთა საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობა

ბოლოს პარტყრილობაზე ამხ. სტალინმა სთქვა—ჩვენ ვცხოვრობთ ფართოდ გაშლილი სოციალისტური მშენებლობის ხანაშიო. სოციალიზმი მოითხოვს საბჭოთა კავშირის მუშებისაგან, ყველა მშრომელისაგან დიად მშენებლობაში მონაწილეობას.

პიონერები მშრომელთა შვილები არიან და ამიტომ არ შეუძლიათ ამ დიდი საქმის მხოლოდ პასიური მაყურებელი იყვნენ და მასში აქტიური მონაწილეობა არ მიიღონ. მართლაც, მრავალი ფაქტი ამტკიცებს, რომ პიონერები სოციალისტური მშენებლობის ყველა მნიშვნელოვან საკითხში ყოველთვის პარტიასა და კომკავშირის დამხმარენი არიან.

ეს დახმარება რომ უფრო ნაყოფიერი იქნეს, საჭიროა პიონერთა ფიზიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა, რადგან ჯანმრთელი ადამიანი უფრო მეტს და ნაყოფიერად იშრომებს, ვიდრე სუსტი და დაავადებული. სამწუხაროდ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი პიონერები ჯანმრთელობის მხრივ ვერ იმყოფებიან სათანადო მდგომარეობაში. ბავშთა ცხოვრების ცუდი პირობები (უვარგისი ბინა, ანტისანიტარული პირობები, ცუდი კვება) და სასკოლო და პიონერული მუშაობით დატვირთვა მძიმე პირობებს ჰქმნის მათი ჯანმრთელობისათვის.

პიონერთა ფიზიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა არ უნდა განისაზღვრებოდეს რომელიმე პერიოდით, არამედ საჭიროა ამაზე მთელი წლის განმავლობაში ვიზრუნოთ. მაგრამ პიონერთა ორგანიზაციას უმთავრესად ზაფხულზე აქვს საშუალება მეტი ყურადღება მიაქციოს პიონერთა ფიზიკური გაჯანსაღების საქმეს და მრავალი საშუალება გამოიყენოს ამ მიზნით. პიონერთა ორგანიზაციის საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის ფორმები საუკეთესო საშუალებაა ბავშთა ორგანიზაციის გასაჯანსაღებლად. ზაფხულზე შესაძლებელი ხდება ჰაერის, მზის, წყლის და ყველა ჰიგიენური საშუალების ფართოდ გამოყენება, ვინაიდან პიონერთა ორგანიზაციას აქვს პიონერთა ბანაკი, საზაფხულო მოედანი, სოლარიუმზო, საბანაო, იყენებს ექსკურსიებს, ტურიზმს და სხ.

პიონერთა საზაფხულო მოედანი.

ბანაკად ყველა პიონერის გაყვანა შეუძლებელია, საამისო საშუალება არ მოგვეპოვება, ამიტომაც ყურადღების ცენტრი მუშაობის ისეთ სახეებზე უნდა იქნეს გადატანილი, რომელიც პიონერთა მაქსიმალურ რაოდენობას დააკმაყოფილებს. ასეთ საშუალებად ცნობილია პიონერმოედანი.

არსებობს სამი ტიპის მოედნები: 1. კოლექტივის, 2. სარაიონო და 3. სამკურნალო. კოლექტივის მოედის ერთი ან ორი კოლექტივი აწყობს კლუბთან, ფაბრიკა - ქარხანასთან, სკოლასთან, კოლმეურნეობაში და სხვ

სარაიონო მოედანს აწყობენ ბ.კ.ო. ბიუროები მთელი რაიონის პიონერებისათვის.

სამკურნალო ტიპის მოედნები ეწყობა. ჯანმრთელობის ორგანოთა მიერ. ამგვარი მოედნები ძვირი ჯდება და განზრახულია მხოლოდ სუსტი და ავადმყოფი პიონერებისათვის.

გაზაფხულის და ზაფხულის განმავლობაში პიონერკოლექტივის მთელი მუშაობა გადატანილ უნდა იქნის მოედანზე, რომლის მუშაობაში ყველა დანარჩენ მომენტს უნდა სჭარბობდეს გაჯანსაღების მომენტები: სუფთა ჰაერით სარგებლობა, ფიზიკური ვარჯიშობანი, თამაშობანი, კვება და სხვ. მოედანის მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნენ შეუკავშირებელი ბავშები.

რა უნდა გაკეთდეს მოედანზე?

დეკადაში სამჯერ იკრიბება თითო ეული რგოლი და მეცადინეობს თავისი წინამძღოლის მეთაურობით. სასურველია — რგოლს მიემგზავროს 10-15 შეუკავშირებელი ბავში. გარდა ამისა, დეკადაში ორჯელ იკრიბება მთელი კოლექტივი. აქ ტარდება საუბარი, სიმღერა, თამაშობანი, იყენებენ ბუნებრივ ფაქტორებს. პიონერები ატარებენ შეუკავშირებელ ბავშთა კულტურულ მსახურებას, აქტიურად მონაწილეობენ წერა-კითხვის უკოდინარობის ლიკვიდაციაში. მოედანზე სწარმოებს აგრეთვე წრეების (რადიო, სამხედრო ცოდნათა, მუსიკალური) მუშაობა. პიონერები სისტემატიურად აწყობენ ექსკურსიებს ახლო მდებარე ქარხანა-ფაბრიკებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში და არა მარტო როგორც სტუმრები, არამედ მუშაობის შემსწავლელნი და აქტიური დამხმარენი.

პიონერთა მეცადინეობა სამკითხველოში

დიდი მნიშვნელობა აქვს მოედანზე, წესიერი რეჟიმის დაცვას. რეჟიმი მოითხოვს ბავშთა შრომის და დასვენების შეზავებას, პირადი ჰიგიენის დაცვას, ფიზიკურ ვარჯიშობას და ჯანმრთელობის ბუნებრივი ფაქტორების (მზე, ჰაერი, წყალი) გამოყენებას, მუშაობის დროს ჰიგიენის პირობათა დაცვას და სხ. მუშაობა უნდა განაწილდეს ასაკის მიხედვით და თითოეულ ასაკს შეიძლება დაეკალოს მხოლოდ მისთვის შესაფერისი შრომა.

მოედანზე ყოველდღიურად უნდა მორიგეობდეს რომელიმე რგოლი, რომელიც ასუფთავებს და რწყავს მოედანს, ამზადებს დასალევ წყალს, იცავს მოედანზე წესრიგს და სხვ.

მოედნის მუშაობაში საჭიროა ექიმის და პედაგოგის მონაწილეობა.

პიონერთა ბანაკი.

ორი მთავარი ტიპის ბანაკია: 1. პიონერთა ჩვეულებრივი ბანაკი და 2. ბანაკი — სანატორიუმი.

პირველი ტიპის ბანაკში გაჰყავთ დაღლილი და დასუსტებული ბავშები, რომელთაც დასვენება და ჰაერის გამოცვლა ესაჭიროებათ. პიონერთა

საჭიროა

პიონერთა ფიზიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა, რადგან ჯანმრთელი ადამიანი უფრო მეტს და ნაყოფიერად მუშაობს, ვიდრე სუსტი და დაავადებული.

გამაჯანსაღებელი მუშაობა პიონერთა შორის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ჩვეულებრივ ბანაკში ავადმყოფი ბავშვები არ გაჰყავთ, ამ უკანასკნელთათვის არსებობს სანატორიული ბანაკი, რომლის რეჟიმი, კვება, ბავშთა მოვლა და მუშაობის ხასიათი განსხვავდება ჩვეულებრივ ბანაკის პირობებისაგან.

ბანაკისათვის მოსამზადებელი მუშაობა 4-5 თვით ადრე იწყება. სწარმოებს საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია, თანხების დაგროვება, წინამძღოლების და პიონერების მომზადება, პიონერთა საექიმო გასინჯვა და სხვ.

ბანაკი თავსდება ან დახურულ ბინებში ან სპეციალურ კარვებში. უფრო მიზანშეწონილია რაიონული ბანაკის მოწყობა, სადაც თავს იყრის 300-400 პიონერი. მუშაობას ხელმძღვანელობს საბანაკო საბჭო. მუშაობის ცალკეული დარგების სახელმძღვანელოდ არსდება სამი კომისია: 1) სამეურნეო, 2) პოლიტგამანათლებელი და 3) სანიტარული.

სამეურნეო კომისიის ამოცანაა ბანაკის სამეურნეო მხარის მოწესრიგება. იგი იძენს სანოვაგეს, აწარმოებს ქონების აღრიცხვას, აწესრიგებს მორიგეობას სამზარეულოსა და საწყობში.

პოლიტგამანათლებელი კომისიის ფუნქციას შეადგენს ბანაკში პოლიტგამანათლებელი მუშაობის ხელმძღვანელობა. კომისიას ევალება სამკითხველოში მუშაობა, გაზეთის გამოცემა, პიონერთა წრის ხელმძღვანელობა, ქოხ - სამკითხველოებთან კავშირი და სხვ.

სანიტარული კომისია თვალყურს ადევნებს სანიტარულ -ჰიგიენური წესების შესრულებას, [illegible] დაბმარებას უბედურ შემთხვევათა დროს: კომისია კავშირს აბამს ახლო მდებარე საექიმო პუნქტთან, ეხმარება ექიმს მუშაობაში.

დიდი მნიშვნელობა აქვს ბანაკად რეჟიმის დაცვას, ნორმალური ძილის დრო გრძელდება 9 საათი, შრომა—3-4 საათი, თავისუფალი დრო—3 საათი. შრომისა და გაჯანსაღების სხვადასხვა მომენტი რიგრიგად უნდა ტარდებოდეს. გარდა ფიზიკური გაჯანსაღებისა, ბანაკად დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ - სასარგებლო მუშაობას, რომლისთვისაც მეტად ხელსაყრელი პირობები მოიპოვება.

ბანაკის პიონერები ეხმარებიან საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს თავისი შრომით, მუშაობენ ყანებში, ბოსტნებში, ბაღებში, უვლიან ფრინველებს და სხვ. გარდა მეურნეობაში მონაწილეობისა პიონერები ეხმარებიან გლეხობას სოფლის კეთილმოწყობილობის საქმეში (ხიდების გაკეთება, გზის გაყვანა, შადრევნების გაკეთება და სხვა.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუკავშირებელ ბავშთა მორის მუშაობა ბანაკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. ამ მიზნით ბანაკი აერთიანებს სოფლის ბავშვებს, აბამს მათ საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობაში და ბანაკის ყოველდღიურ შრომაში.

კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებლად ბანაკში ეწყობა კლუბი, სადაც იმართება სამკითხველო, სცენა და მუშაობენ წრეები. ბანაკი სისტემატიურად აწარმოებს ფიზვარჯიშობას, თამაშობებს, გასეირნებებს და ექსკურსიებს.

პიონერორგანიზაციაზე დიდად არის დამოკიდებული საზაფხულო გაჯანსაღებელი მუშაობის ნაყოფიერება, ამიტომაც ამჟამად ეს მუშაობა ყველა პიონერკოლექტივის ყურადღების ცენტრში უნდა იმყოფებოდეს.

მ. გოგრგაძე.

კომკავშირელების ხამხ. მეცადინეობა



რკინისგზელთა ახალი სახლი

პიონერები ბანაკად

მწვანე ტყის ახლოს, სოფლის გადაღმა,
პიონერების დგანან კარვები.
დილით ხმაური ირხევა მაღლა,
ცა ფერადდება სხივთა ქარვებით...

დილით განგაში გამოაღვიძებს
პიონერების მხიარულ ბანაკს,—
და სიხარული იწყება ისევ,
და სიხარული თქვენს სახეს ფარავს...

ასე გვახარებს სუფთა ჰაერი;
და მოჩქრიალე ნაკადულები,
საღი ფილტვებით ხმამაღლა ვმღერით,
და ოცნებები მოგვაქვს გულებით...

შრიალა ტყეში ვიხსენებთ ლენინს,
და მტვერით სავსე გრიალა ქალაქს,
ჩვენ გვიხარია გულწრფელი ლხენით,
რომ მოვაშურეთ ზაფხულში ბანაკს!

ჩვენ ვართ შრომაში დაუზარელნი,
მივეხმარებით კოლმეურნეთ გლეხებს,
ველზე ხმაური ისმის ზარივით,
ეკლიან მინდორს ვაბიჯებთ ფეხებს...

გლეხებს ახარებს ჩვენი ძახილი,
ჩვენი მოლხენა განახარები,
თითქოს არ იყვნენ შრომითდაღლილნი,
ისე, მიუდით მწყემსებს ხარები...

და ჩვენც აქა ვართ;
პიონერ ბავშვებს;
გვიყვარს მოლხენა, შრომა, ხალისი,
გლეხებთან ვიჭერთ შეგობრულ კავშირს;
და, გახარება მოგვაქვს ხვალისთვის...

ასე გვახარებს სუფთა ჰაერი
და მოჩქრიალე ნაკადულები,
საღი მკერდებით ხმამაღლა ვმღერით;
და სიხარული მოგვაქვს გულებით!!.

გ. შატბერაშვილი.

პიონერები წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლაში

„წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია-პარტიის საბრძოლო ამოცანაა“.
(საკ. კ. პ. (ბ) 16 ყრილობის რეზოლიუციიდან).

„18 და 4“

ყოველდღიურად იზრდება და კეთილდება ჩვენი სოციალისტური მეურნეობა. ინდუსტრიის ახალი გიგანტები ფოლადისებური სიმტკიცით ამაგრებენ მძიმე მრეწველობის რიგებს. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე ამაყად გუგუნებენ უკვე საბჭოთა კავშირში დამზადებული ტრაქტორები.

ამ დიად მშენებლობაში მილიონობით ჩაბმულია ქალაქისა და სოფლის პროლეტარული მასები.

იმისათვის, რომ ჩვენი ინდუსტრიალური ცხოვრება გავამდიდროთ ახალ-ახალი ფრიად საჭირო ქარხნებითა და ფაბრიკებით, აუცილებლად საჭიროა ვიცოდეთ მანქანების ხმარება, მისი სათანადოთ გამოყენება. იმისათვის, რომ ახალი ტეხნიკური მანქანებით მოწყობილ ფაბრიკა-ქარხნებში ავსწიოთ შრომის ნაყოფიერება, საჭიროა ჰილიონობით კულტურული მუშა-ხელი.

ჩვენს პოლიტიკურსა და ეკონომიურ ზრდას ბევრი შეჰყურებს მტრიანი თვალებით. მტრები, როგორც „საგარეო“ ისე „საშინაო“ — ვერ ინელებენ ჩვენს წარმატებებს.

პიონერებო, იცით კიდევ რა მტრები გიყავს? ნუ გაგიკვირდებათ! ჩვენ გვყავს კიდევ ერთი საშიში მტერი, რომელსაც წერა-კითხვის უცოდინარობა ეწოდება. ის ისეთი მატლია, რომელიც ხრავს ადამიანის გონებას.

და განა, ინდა გაგიჭირდეს ამ მატლის გასოესა? რასაკვირველია, არა. ჩვენ, ბოლშევიკებს, სიძნელეების ირ გვშინია...

პიონერებო, იცოდეთ, რომ მთელს საბჭოთა კავშირში 18 მილიონმა მშრომელმა წერა-კითხვა არ იცის, იცოდეთ, რომ 4 მილიონი მოზაოდი თაობაც ჩვენგან ითხოვს „მძიმე არტილერიას“ უცოდინარობის ღრუბლების გასაფანტავათ.

რიცხვები: 18 და 4 უნდა დავსძლიოთ.

კულაკობის და ობივატელშჩინის საწინააღმდეგოდ

სოციალისტური მშენებლობა ნიშნავს, რომ მასში ჩავაბათ ქალაქისა და სოფლის მშრომელების ათეული მილიონები. ე. ი. ისინი თავიანთი სახელ შწიფოს ნამდვილი ბატონპატრონები გავხადოთ. მაგრამ როგორ უნდა შეეწიოთ ამ მიზანს, როცა მშრომელთა დიდმა უმრავლესობამ ჯერ კიდევ წერა-კითხვა არ იცის. ეს დიდი ნაწილი ვერ ერკვევა სოციალისტურ მშენებლობის ძირითად საკითხებში. მან არ იცის რა უფლებით სარგებლობს იგი, არ იცის როგორ გააუმჯობესოს თავისი ცხოვრება და როგორც ოქტომბრის რევოლიუციის უდიდესი მასწავლებელი ლენინი იტყოდა—ის ჯერ კიდევ იკვებება: ხმლებით, ჭორებით და ზღაპრებით. ამ უკანასკნელთა გამვრცელებელნი არიან: კულაკები და ყოველი ჯურის კონტრრევოლიუციონერები.

ოქტომბრის რევოლიუციამდე უფრო საშინელ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი. საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი სწორი პოლიტიკით ბევრად უკეთესი პირობები შეჰქმნა. მაგრამ რიცხვები —18 და 4 ჯერ კიდევ დასაძლევია. ამ „ციხე-სიმაგრესაც“ ბოლშევიკური ბრძოლით ავიღებთ.

კლასიური მტრები, ყოველგვარი სახის კონტრრევოლიუციონერები—აგიტაციას ეწევიან საბჭოთა ხელისუფლების, პარტიის, კოლმეურნეობრივი მშენებლობის წინააღმდეგ. ისინი ცდილობენ სახელი გაუტეხონ ჩვენს პოლიტიკას მშენებლობის ყოველ დარგში. და რა საკვირველია, თუ ზოგიერთი წერა-კითხვის უცოდინარი მუშა ან გლეხი პროვაკაციის ანკესზე წამოეგება.

ჩვენ ცხელი შანთით ამოვსწვავთ მათ კონტრრევოლიუციონურ და ოპორტუნისტულ გამოსვლებს. ჩვენ მოვსპობთ ჩვენს წითელ ქვეყანაში უცოდინარობას,— ეს კი ზარბაზნის ყუმბარებზე უფრო ძლიერი იქნება კულაკობისა და ობივატელშჩინის საწინააღმდეგოდ იარაღად.

„დავეწიოთ და გაუსწროთ“.

ჩვენ ამოცანათ დავისახეთ—უახლოეს დროში ტეხნიკურ საშუალებათა გაუმჯობესებით „დავეწიოთ და გაუსწროთ“ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ავსწიოთ სათანადო სიმაღლეზე ჩვენი კულტურული დონე.

წერა-კითხვის უცოდინარობის (ათას კაცზე) სურათს კაპიტალისტურ ქვეყნებთან გვიჩვენებს შემდეგი ციფრები:

ქვეყნები	კაც. რაოდენობა
გერმანია	1
ინგლისი	7
ამერიკა	59
საფრანგეთი	89
ს. ს. რ. კ.	370

ეს მახინჯი სურათი, სხვა მრავალ დამყაყებულ, დამტვერულ სურათებთან ერთად გადმოგვეცა მემკვიდრეობათ მონარქიული და ბურჟუაზიული „კულტურის“ სასახლეებიდან“.

წერა-კითხვის უცოდინარობის ასეთი აზვირთებული ტალღების დაცხრომა, ამ დაჭაობიანებული საგუბა-

პიონერებო, მაქსიმალური უურადღება — წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლას

რის ამოშრობა, არც ისე ადვილია, თუ პარტიასა და ხელისუფლებას ვერ-დით არ ამოუდგება: ყველა კულტურული ძალები, კომკავშირელები, პიონერები.

ეხლა, როცა მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა მრეწველობის განვითარებითა და კოლმეურნეობრივი მოძრაობის გაფართოებით უკვე შეედუღა სოციალისტურ მშენებლობას და გამოუცხადა შეურიგებელი ბრძოლა უკულტურობას, ძნელი აღარ არის წერა-კითხვის უცოდინარობის სასიკვდილო დამარცხება. „18"-ისა და „4"-ის დამარცხება სერიოზული საქმეა და ამ მნიშვნელოვან კამპანიაში მონაწილეობა უნდა მიიღონ არა მარტო უფროსი ასაკის მუშებმა და მუშა ქალებმა, არამედ თავიანთი ენერგია და უნარი უნდა გამოაშკარავონ პიონერებმაც. მაშინ „დავეწიოთ და გავუსწროთ" ექსპრესივით დაიძვრება წინ, სოციალიზმისაკენ.

შეერთებული ძალით.

მილიონიან მასის გარდაქმნა წ.-კითხვის მცოდნით—ისიც უახლოეს დროში — ძალიან ძნელი საქმეა. საჭიროა: ასეული მილიონები. ათეული ათასი სკოლა, ასეული ათასი მასწავლებელი —ლიკვიდატორი.

ეს კიდევ ცოტა იქნება, თუ ენერგიულად არ ამოძრავდებიან: მშრომელთა მასები—მუშები და მუშა ქალები, გლეხები და გლეხი ქალები: მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა: პარტია, საბჭოები, პროფკავშირები, კომკავშირი და პიონერები.

„მტერს" — წერა-კითხვის უცოდინარობას — დავამარცხებთ შეერთებული ძალით. მატლს, რომელიც გონებას ხრავს გავსრესთ.

გია.



სპილენძის სამუშაოებზე

=მაგნიტოსტროი=



მაგნიტოსტროი. სასტუმრო ჩამოსულ სპეციალისტებისათვის

ურალის მთაგრეხილის აღმოსავლეთით ქალ. ვერხნეურალსკიდან 50 კლმ. და მდ. ხარე ურალიდან 64 კლმ. მანძილზე არის მაგნეტის მთა, რომელსაც 24 კვ. კლ. ფართობი უჭირავს.

ოთხ მთაში (ატაგა, დალნაია, უზიანკა და ეუოვკა) ატაგა ყველაზე უმაღლესია — მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 616 მეტრს უდრის.

ამ მთის დასავლეთ ფერდობზე მდებარეობს მაგნეტის მადნის ის ცნობილი საბადოები, რომელიც დაახლოებით 283 მილ. ტონა მადანს შეიცავს.

მაგნიტოგორსკის რკინის მადნის საბადოები რკინის ხარისხის მხრივ მსოფლიოში ერთ-ერთ უმდიდრეს საბადოებს წარმოადგენს. მაგნიტოგორსკის მადანი შეიცავს 63 პროც. რკინას, შვეიცის საუკეთესო მადნები—60 პროცენტს და ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების კი მხოლოდ 51, ნახევ. პროც.

ახლა მაგნიტოგორსკის მთის ძირას შენდება უდიდესი მეტალურგიული და ქიმიური კომბინატი მაგნიტოსტროი და მასთან ერთად ახალი სოციალისტური ქალაქი მაგნიტოგორსკი 150.000 მცხოვრებისათვის.

იმ 17 მილ. ტონა თუჯში, რომელიც სოციალისტურმა მრეწველობამ უნდა მისცეს ხუთწლედის ბოლოს ჩვენ ქვეყანას, 4 მილ. ტონას მოგვცემს ყოველწლიურად მარტო მაგნიტოსტროი. მაგნიტოსტროის ქიმიური ლიერით პირველი იქნებიან მთელ მსოფ- ლიოში.

აღნიშნული დომნების პირველდაწყებითი პროდუქცია იქნება 650 ათასი ტონა. 1931-1932 წლამდე პროდუქცია უნდა ავიდეს 1 მილ. 500 ათას ტონამდე.

მაგნიტოსტროის ექნება შემდეგი ძირითადი განყ-ნი: 1) მეტალურგ. ქარხანა, 2) კოქსის ქიმიური კომბინატი 8 ბატარეიანი (თვითეულ მათგანს 69 ღუმელი ექნება) და 3) 240 ათას კილოვატიანი ელექტროსადგური.



მაგნიტოსტროი. „სოიზკოკსის" სამონტაჟო სამუშაო.

მეტალურგიული კომბინატი უდიდესი იქნება მთელ მსოფლიოში. მაგ., ჩრ.-ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე უდიდესი ტერის ქარხანა ყოველწლიურად მხოლოდ 3 მილ. ტონა თუჯს იძლევა და ეს ქარხანა 20 წლის განმავლობაში შენდებოდა, მაგნიტოსტროი კი უნდა დამთავრდეს 1932 წლ. ოქტომბრისათვის.

მე-16 პარტყრილობამ აღნიშნა საბჭოთა კავშირში მეორე ურალო-კუზნეცკის საქვანახშირო მეტალურგიული ბაზის შექმნის აუცილებლობა, რომელიც უკვე შენდება.

მაგნიტოგორსკის მშენებლობისათვის გადადებულია 400 მილ. მანეთი. 1931 წელს იმაზე უნდა დაიხარჯოს 250 მილიონი მანეთი; 1931 წლის ოქტომბერში მაგნიტოგორსკის ქარხანამ უნდა აამუშაოს პირველი ორი დომნა, რომელნიც სიძ-

ეს ქარხნები ყოველწლიურად მოგვცემს 11 მილ. ტონა გაუწმენდელ მადანს და დაამზადებს 6 ნახევ. მილ. ტონა გაწმენდილ მადანს.

მთელი კრივოროჟიეს რკინის მაღაროები ვერ მოგვცემს იმდენს, რამდენსაც მაგნიტოგორსკის გვირაბი. გაუწმენდელი მადანი, 60 ტონიანი ვაგონებით, ელექტროს რკინის გზის საშუალებით, პირდაპირ დომნებში იქნება მიზიდული, ყოველ 8 წამში მადნით სავსე ვაგონების მთელი შემადგენლობა გაიგზავნება საჭიროებისამებრ ადგილებზე; გასაგზავნ მატარებლებს ძლიერი ექსკავატორები დატვირთავენ მზა მადნით, მაგნიტოგორსკის ქარხნებს დასჭირდება 4.750 ათასი ტონა ქვანახშირი, რასაც კუზნეცკის ქვანახშირის საბადოები მიაწოდებენ. აქ შენდება კოქსის (ცეცხლით დაწმენდილი ქვანახშირი)

მსოფლიოში უდიდესი ქიმიური კომბინატი, რომელიც მოგვცემს წელიწადში 2750 ათას ტონა კოქსს. ეს კომბინატი არა მარტო კოქსს დაამზადებს, არამედ მიწის ქიმიურ სასუქებსაც, რადგან ეს გიგანტი მდიდარ სასოფლო-სამეურნეო რაიონში აშენდება.

დომნებს, გარდა რკინის მადნისა და კოქსისა,სჭირდება კირიც, და 2 მილ.ტონა კირს დაამზადებე ნმაგნიტოგორსკი, ქვისმტეხები.

ქარხანას დაამშვენებს მსოფლიოში უდიდესი 8 დომნა. თუჯი დომნებიდან პირდაპირ მექანიკურად გადავა მარტენის ცეხებში, სადაც დადგმული იქნება ძლიერი მარტენის ღუმელები, 125 ტონა პროდუქციის მომცემი (მათი პროდუქცია 200 ტონამდე იქნება აყვანილი). აქედან თუჯი ზოდებად გადადის საგლინავ ცეხში, რომელშიც მოწყობილია შეუჩერებლივ მოძრავი დაზგები, ბლიუმინგები, ბლიუმინგები მოგვცემს 1.150 ათას ტონას.

გარდა ამისა, შენდება 248 ათას კილოვატიანი ელექტრო ცენტრალური და სხვა.

გიგანტების აშენებასთან ერთად საბჭოთა ხელისუფლებას არ შეუძლია უყურადღებოდ დასტოვოს მუშების ყოფაცხოვრებითი მოთხოვნილებანი. ამიტომ მაგნიტოსტროისთან ერთად უნდა აშენდეს ახალი კულტურული ქალაქი 150.000 მცხოვრებლისათვის. ამ ქალაქში აშენდება განსაზოგადრებული ყოფის ყველა ელემენტები. ქალაქის მშენებლობა უკვე დაწყებულია. მაგნიტოსტროის დამთავრებისას მზად უნდა იქნეს 15.0000 ათასი მუშის საცხოვრებელი.

შენდება აგრეთვე სამოსწავლო კომბინატი და ინსტიტუტი. 1931 წლის იანვრიდან გაიხსნა უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებელი, კადრების მოსამზადებელი ფაბრიკა. ყველა ეს, ერთად აღებული, გადააქცევს ქალაქ მაგნიტოგორსკს ურალის მხარის კულტურულ ცენტრად და საბჭოთა კავშირის უდიდესი სოციალისტური ინდუსტრიის გიგანტად.

ქალაქელ პიონერთა ბრიგადა სოფლ'ში

მოვალთ ბრიგადელები
გულები გვაქვს ხალასი.
ოომ დავიპყროთ ველები,—
კუთნებს ჯანი ჩავასხით.
ვეხმარებით კოლექტივს,
თესვის ტემპებს ვაჩქარებთ!
ვშრომობთ დაუბრკოლებლივ,
ტემპი ფართეთ გავშალეთ.
ვინ იხილავს კავ-ხარებს,
ააპეულს ვინ ემხრობა.
დახმარება ახარებს
კოლმეურნე გლეხობას.
ძლიერდება დოღი და—
ველს მხურვალედ მოვედვეთ.
მიწა შრომით მოღლილა,
ვთესავთ მიწის მოედნებს.
მიდამოებს დატორილს
ალხენს ჩვენი შეტევა.
რიგში გადის ტრაქტორი,
მიწას ბურღავს ბელტებად.
ვინლა გადაგვიდგება,
ან კბილებს სად ლესავენ,
სალამი და დიდება
პიონერებს მთესავებს!
შეხეთ: მწკრივებს მართავენ
ნარგიზა და გრიგალა.
თუ გზებს დაგვიხლართავენ,
გაჭკვეთს ჩვენი ბრიგადა.
ვინც ჩამორჩა დინებას,—
საქმეს ახლოს ვერ უვლის.
მუდამ მტკიცე იქნება
საქმე პიონერული.
წინ ვინ გადაგვიდგება,
ან კბილებს სად ლესავენ,
სალამი და დიდება
პიონერებს მთესავებს.

პეტრე გიგიბერია.



სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნებიდან ტრაქტორების გადაზიდვა კოლმეურნეობებისათვის

პიონერებო, პირით ტრანსპორტისაკენ

ჯანსაღი ტრანსპორტი აუცილებელი პირობაა საბჭოთა კავშირის ეკონომიური ცხოვრების განვითარებისათვის.

პარტია, ხელისუფლება, კომკავშირი, უდიდეს ყურადღებას აქცევს ტრანსპორტის საკითხს.

> რკინის გზის ტრანსპორტის გაჯანსაღებისა და მისი სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმე მიმდინარე მომენტის მნიშვნელოვანი ამოცანათაგანია, რომლის გადაწყვეტაშიაც უახლოესი მონაწილეობა უნდა მიიღონ პიონერორგანიზაციებმაც.

სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგი მოითხოვს ახალგაზრდა რევოლიუციონერების, ახალგაზრდა მშენებლების ენერგიულ დახმარებას.

ამ კონკრეტიულ შემთხვევაშიც რკინის გზის ტრანსპორტის გამაუმჯობესებელ მუშაობაში უნდა ჩავაბათ პიონერთა ორგანიზაციები.

პარტიამ და ხელისუფლებამ კარგად იციან თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია პიონერის გულწრფელ მუშაობას, პიონერის საქმიან ხელს ამ დარგში. და კიდევაც ამ საკითხზე ჩვენ ვიცნობთ ს.კ.პ.(ბ) ცეკასა და საკ. სახკომსაბჭოს სპეციალურ მომართვას, რომლის დამუშავება, შესწავლა და ცხოვრებაში გატარება უახლოესი ამოცანაა.

მომართვაში დასმული საკითხების პრაქტიკულად გატარებისკენაა მიმართული კომკავშირის ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტისა და ა.-კ. ბავშთა კომორგანიზაციის ბიუროს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებანიც, რომელიც გულისხმობს უახლოეს დროში მოიწვიოს საოლქო თათბირი ამ საქმეში პიონერ-ორგანიზაციების მასიური მიზიდვით.

უნდა ჩამოყალიბდეს პიონერთა ბრიგადები ყველა იმ საკითხების შესასწავლად, რომელიც გამომდინარეობს რკინის გზის ტრანსპორტის გაუმჯობესების პირობებიდან.

ახალგაზრდა მშენებლებმა თუნდაც იმ მიზნით, რომ შესცვალონ საჭიროების დროს თავიანთი უფროსი ამხანაგები, უნდა შეისწავლონ პრაქტიკულად ჯანსაღი ორთქლმავალის აგება და საერთოდ შეეჩვიონ დეპოებში მუშაობას.

> პიონერი უნდა იცნობდეს რა ხდება რკინისა და ფოლადის სამყაროში. მისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს იცოდეს კარგად ყველა ის საიდუმლოებანი, რომელზედაც და მოკიდებულია ტრანსპორტის გაუმჯობესება.

პიონერებო! ჩვენი ტრანსპორტის ერთგული ხელისშემწყობნი ხართ პირით ტრანსპორტისაკენ!

განი.

ბევრ ისტორიას მოუთხრობენ ამერიკის „პროსპერიტი"-ზე. მაგრამ ვინ სარგებლობს ამით? ყოველ შემთხვევაში, არა მუშები, რომელთაც შექმნეს იგი და არა მათი ბავშები.

ხუთი წელი ვხელმძღვანელობდი საბავშო მოედანს ქალაქ ფილადელფიაში, მის ერთ-ერთ უღარიბეს უბანში. ეს იყო სათამაშო მოედანი. აქ იკრიბებოდენ ღარიბთა ბავშები. მთელ დღეს ისინი სკოლაში ატარებდენ, მოედანზე გამოცხადდებოდენ მხოლოდ სწავლის შემდეგ და საღამოობით. მოდიოდენ აგრეთვე მაშინ, როცა სკოლაში მეცადინეობა არ იყო. აქ იყვნენ სხვადასხვა ეროვნების ბავშები: რუსები, პოლონელები, ებრაელები, ზანგები, იტალიელები, ირლანდიელები, ჩინელები, ამერიკელები, ინდოელები, ფილიპინელები, მექსიკანელები და სხვები. იქ იყვნენ ბავშები ევროპისა და აზიის ემიგრანტების და ბავშები ზანგების, რომელნიც გამოქცეულიყვნენ ჩრდილოეთისაკენ, რათა გადაერჩინათ თავი ლინჩის სასამართლოსაგან სამხრეთში.

ერთი რამ ანათესავებდა მათ — ეს იყო სიღარიბე. ზანგები სამხრეთის სოფლებიდან მოვიდენ, სადაც ყოველ შემთხვევაში სითბო მაინც იყო. აქ კი, ჩრდილოეთში, ასეთი სინესტე და სიცივეა. სახლებს არ ათბობენ. ისინი იკვებებოდნენ ყოველად საზიზღარი საჭმელით. პატარა ბავშები ერთად თამაშობდენ მანამ, სანამ მოზრდილებმა არ აღუძრეს მათ ზანგებისადმი ზიზღი. პატარა თეთრებს ამის შემდეგ ზანგების ეშინოდათ და ეზიზღებოდათ კიდეც ისინი.

სხვა ეროვნებათა ბავშები გამსჭვალული არიან ებრაელი ბავშების სიძულვილით. ეკლესია ანვითარებს ამ საშინელ გრძნობას. და აი ბავშთა შორის გავრცელდა იმგვარი ეროვნული შუღლი, როგორიც მათ მშობლიბს შორის იყო. ეს იყო სწორედ ის, რასაც ესწრაფოდა პატრონი — მყვლეფელი. მეპატრონეებს (იგულისხმება კაპიტალისტები), უნდოდათ ჩამოეგდოთ შუღლი მუშათა კლასში, რომ მუშებს არ ჰქონოდათ შეკავშირების და საერთო მტრის წინააღმდეგ გამოსვლის საშუალება.

ბავშებს არ უყვართ სკოლა, სადაც ისინი დადიან. მასწავლებლებს არ უყვართ მოწაფეები. გაკვეთილები მოსაწყენი და არასაინტერესოა. მასწავლებლებისათვის მთავარია — შეინარჩუნონ თანამდებობა, რომელზედაც მათ შეუძლიათ დარჩენა სიკვდილამდე. ზანგის ბავშები მათ ეზიზღებათ და აიძულებენ იარონ ზანგების განსაკუთრებულ სკოლაში.

ამ სკოლას „განყოფილება" („სეგრეგაცია") ეწოდება.

მოედანზე ბავშები იმიტომ მოდიოდენ, რომ ის უფასო იყო. ყველა სხვა საბავშო მოედანზე, რომელთაც ინახავდენ სარწმუნოებრივი საზოგადოებანი, ზანგის ბავშებს შესვლა ეკრძალებოდათ. ჩვენი მოედანი არ იყო სარწმუნოებრივი. თუმცა ჩვენთან ლაპარაკობდენ, რომ ყველა ბავში კარგად იქნებოდა მიღებული, მასწავლებელნი მაინც ამჟღავნებდენ ებრაელების და განსაკუთრებით ზანგი ბავშების სიძულვილს.

ჩვენს მუშაობას ძალიან ნაკლები შედეგები მოჰქონდა.

ბავშები ჩვენთან იყვნენ კვირაში მხოლოდ რამდენიმე საათის განმავლობაში. მათ აბეჩავებდა სკოლისა და სახლის პირობები. ამ ბავშებში ბევრი იყო ქურდი.

ჩვენი ორგანიზაცია ბანკირებს ექვემდებარებოდა; ისინი მოითხოვდენ აღგვეზარდა მორჩილი მუშები. ბურჟუაზიულ მასწავლებელთათვის მთავარი იყო იოლი კარიერა, და არა ბავშები, რომლებთანაც ისინი მეცადინეობდენ.

მე არ მინდოდა მემუშავნა იქ, სადაც მუშის შვილებს არ შეეძლოთ გაეგოთ, თუ რისთვის არა აქვთ მათ საჭმელი, ფეხსაცმელი და ტანსაცმელი.

პირველი

ყურადღებით
გადაიკითხეთ ეს წერილი—
თქვენ ამით გაიგებთ
თუ რა მდგომარეობაში
არიან თქვენი ჰასაკის
ამხანაგები ამერიკაში

ბევრი ბავშვი სუსხიან ზამთარში ნახევრად გაყინული მოდიოდა, თუ ბავშს ჰქონდა ერთი წყვილი საცვალი, ის ძას არ იხდიდა მთელი ზამთრის განმავლობაში. ბევრმა ბავშმა არ იცოდა, თუ როგორ უნდა ეტარებინა ტანისამოსი. ახლად ჩაცმული ტანსაცმელი დღე და ღამე ში ნაფლეთებად იქცეოდა. უფროსებს ავალებენ უმცროსების თვალყურის დევნებას, სანამ მშობლები სამუშაოზე იყვნენ.

ასე ცხოვრობენ მილიონები, ასე ცხოვრობენ მაღაროთა რაიონში, სადაც მუშები ნამდვილი ამერიკელებია, ასე ცხოვრობენ სამხრეთში საფეიქროს მუშები, რომლებიც ჩამოძავალნი არიან იმ ოჯახებისა, 200 წლის წინად, რომ გადმოსახლდენ ამერიკაში.

რასაკვირველია, არიან მუშები, რომლებიც უკეთ ცხოვრობენ, მაგრამ მათი რიცხვი თანდათან მცირდება. ამ ზამთარში მოსალოდნელია ამერიკაში 10 მილიონი უმუშევარი.

მრავალი მილიონი ბავში დაიტანჯება. ისინი დაიწყებენ ლუკმაპურის თხოვნას, დადგებიან რიგში ნამცეცებისათვის იმ საწყალებთან, რომლებიც მათ და მათმა მშობლებმა აავსეს.

პატარა ბავშები, თქვენი ოქტომბრელების ასაკისა, უკვე მუშაობენ საკონსერვო და საფეიქრო ფაბრიკებში, ბამბისა და თამბაქოს პლანტაციებზე ჩრდილოეთსა და სამხრეთში, ძუშაობდენ, როგორც მოზრდილები, მაღაროების სილრმეში ან და შველიან უფროსებს მშვენიერი ტანისამოსის შეკერვაში, რომლის მსგავსს ისინი ვერას დროს ვერ ჩაიცვამენ.

კანონით ამერიკაში ყველა ბავში მოვალეა იაროს სკოლაში, მაგრამ სკოლაში ყველა არ დადის.

ჩვენს „ბედნიერ ქვეყანაში" სამხრეთით ხალხს კვებავენ დორის ხორცის მდარე ნაწილით, რიც გაშო ხალხი ავად ხდება საშინელი ავადმყოფობით — მილანის კეთრით. ყველა გართულია სამუშაოს ძებნით, მაგრამ ის არ არის. არის ათასი მსურველი შეასრულოს ერთი და იგივე საქმე. მუშების ბელადები ღალატობენ მუშებს. ისინი შველიან ხელფასის დაკლებას, მათი სამუშაო დღის გადიდებას.

რას ლაპარაკობენ ამ მუშების ბავშები? ისინი ლაპარაკობენ იმას, რასაც იმათი მშობლები:

— კომუნიზმი.

სამხრეთით კომუნისტები, თეთრები და შავები, ერთიანდებიან. მათ ასამართლებენ ლინჩის სასამართლოში, სცემენ, ერეკებიან ქალაქებიდან, საპყრობილეებში ჰყრიან, სიკვდილით სჯიან, მაგრამ ბრძოლა გრძელდება. მუშის ბავშები ებმიან ამ ბრძოლაში, იცავენ თავიანთ მშობლებს, თავის თავს და თავის კლასს. ისინი მონაწილეობას იღებენ დემონსტრაციაში, აყენებენ პიკეტებს გაფიცვების დროს. ცენტრალური ქალაქების მუშები ჰგზავნიან თავიანთ ბავშებს პიონერების საგაზაფხულო ბანაკად.

ჩვენში ცოტაა პიონერი, მაგრამ ისინი აწყობენ ქუჩებში დემოხსტრაციებს იმპერიალისტების წინააღმდეგ, ფაშიზმის და თეთრი შოვინიზმის წინააღმდეგ.

ამ წელს (იგულისხმება 1930 წელი) პიონერები გამოვიდენ საპირველმაისო დიდ დემონსტრაციაზე. იმ დროს, როდესაც ისინი მიდიოდენ ქუჩებში, ზოგიერთი ბავშები სხვა მუშებისა, სკოლებიდან მოძავალნი, უსტვენდენ დემონსტრაციის მონაწილე ბავშებს. სკოლა ასწავლის მათ შეიძულონ თავისი საკუთარი წრე. წიგნი ჰქმნის გმირებს მათ კლასიური მტრებისაგან. სურათები (ფილმები) იგონებენ ყალბ გმირობას, რომ ბავშებმა იოცნებოს ძეთზე. ბეჭდვითი სიტყვა ამასვე ასრულებს. ბავშებს ასწავლიან თაყვანი სცენ ასეთ გმირობას და დალოცონ იგი ხუცებთან და კაპიტალისტებთან ერთად.

საბავშო წიგნები სწერენ მეფეებსა და დედოფლებზე.

ჩვენ გვაქვს ერთად - ერთი რევოლუციონური საბავშო ჟურნალი „ნორჩი პიონერი" და იმედი გვაქვს გავაფართოოთ და გავაუმჯობესოთ იგი. ჩვენ ვიწყებთ რევოლუციონური საბავშო იაფფასიანი წიგნების წერას. ამერიკაში წიგნები ძალიან ძვირია, საბავშო წიგნები კი ფასით სრულიად მიუწვდომელია. ამერიკაში საბავშო ლიტერატურა არ არის განკუთვნილი მუშის ბავშებისთვის. მათ შეუძლიათ წიგნებით ბიბლიოთეკაში სარგებლობა, მხოლოდ ლ მკითხველი მეტია, ვიდრე [illegible]

ზოგიერთ დაწყებით სკოლას და ყველა უმაღლეს სასწავლებელს აქვს თავისი ჟურნალი. რედაქტორობენ მოწაფეები, მაგრამ მასწავლებელი მეთვალყურეობს. ის არ უშვებს სერიოზულ მასალას, რომელიც კრიტიკას უკეთებს უწესრიგობას სკოლასა და საზოგადოებაში. ასეთი შენიშვნებისათვის (წერილებისათვის) ბავშებს სკოლიდან რიცხავენ, მათ კი, რომელნიც მონაწილეობას იღებენ საპირველმაისო დემონსტრაციაში, ან მათ, რომელნიც ცნობილი არიან როგორც ნორჩი პიონერები, რიცხავენ სასწავლებლიდან და ზოგჯერ მცირეწლოვან დამნაშავეებთან ერთად ათავსებენ გამასწორებელ სახლებში.

ძალიან ხშირად მუშათა ღარიბ უბნებში, ფაბრიკების ახლოს, ბავშები გროვდებიან საზიზღარ გუნდად. აუტანელი ცხოვრება ერეკება მათ ავანტიურიზმისა და ხულიგნობისაკენ. მე მახსოვს, როცა ირლანდიელების ბავშთა ჯგუფმა მოაწყო თავდასხმა ებრაელებზე, ისინი ებრძოდენ ერთიმეორეს, სარგებლობდენ ქვებით და დანებით. პოლიცია ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ახლაც არის რაიონები, სადაც ზანგის ბავშებს სიკვდილის პირზე მიაყენებენ ცემით, თუ ვი ისინი იქ მივლენ, მშრომელთა მტრები იყენებენ ამ ხულიგნურ კამპანიებს

აი იგი, ამერიკა, ქვეყანა ფუფუნებისა და სილაღისა!

აი იგი, ამერიკა, ქვეყანა სილატაკის და სიძულვილისა!

მოსწავლე ბავშების საქმიანობა

იბრძოლეთ პოლიტექნიზმისათვის

საბჭოთა მეურნეობა-პოლიტექნიზმის საუკეთესო სკოლაა სოფელში

თუ კოლმეურნეობის სკოლაში არ არის ძველი ახალგაზრდობის პოლიტექნიკური განათლების მოგვარება, მით უფრო ფართოდ და ღრმად შეიძლება მისი განხორციელება საბჭმეურნეობებში.

საბჭმეურნეობაში შრომა უფრო მექანიზაციაქმნილია და შრომის ორგანიზაციაც უკეთესადაც არის დაყენებული.

თუ კოლმეურნეობაში არ არის იშვიათი, რომ სათიბისათვის კიდევ ხმარებაშია ცელი, სალეწი მანქანის გვერდით რაკუნობს საცეხველი და ტრაქტორის გვერდით ახველებს ერთ-ცხენიანი გუთანი, საბჭმეურნეობაში ასე არ არის. საბჭმეურნეობაში ყველგან მანქანაა. ამიტომაც აგრონომია საბჭმეურნეობაში ჯერჯერობით უფრო მაღლა დგას, ვიდრე კოლმეურნეობაში. ამის გამო პოლიტექნიზმისათვის საშუალებები აქ გაცილებით მეტია და ამიტომ საბჭმეურნეობაში შეიძლება პოლიტექნიზმის სწავლების საწარმოო შრომასთან უკეთესად დაკავშირება.

მუშაობა მექანიკურ სახელოსნოში

კარგად მოწყობილი ფარეხები, საცდელი მინდვრები, ლაბორატორიები, სადაც სხვადასხვა ცდა სწარმოებს,—აი სად უნდა ისწავლონ ბავშვებმა აგრონომია, რომელთანაც დაკავშირებული უნდა იყოს სკოლის პროგრამაც.

სკოლის ყველა საგანი—მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბუნებისმეტყველება და საზოგადოებათმცოდნეობა—საჭიროა სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან იყოს დაკავშირებული. მაშინ გვექნება პოლიტექნიკური განათლების სწორი მიდგომა და გაგება.

ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საბჭმეურნეობა კოლმეურნეობაზე მეტადაა დაკავშირებული ქალაქთან, ხშირად საბჭმეურნეობის გვერდით ქარხნებიც არის, ხშირად თვითონ საბჭმეურნეობაშიც არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი ქარხნები, ეს კი იძლევა ქარხნის შრომის ორგანიზაციის შესწავლის და მანქანების გაცნობის საშუალებას. სოფლის მეურნეობის და მრეწველობის ერთმანეთთან დაკავშირების სურათი აქ განსაკუთრებით ცხადათ ჩნდება.

საქ.-საფ. სკოლა, ქალაქის სკოლაა.

მაგრამ როგორ განხორციელდება პოლიტექნიზმი ქალაქში?

ქალაქში ჯერჯერობით არის სკოლის ორი ტიპი. საქ.-საფ. სკოლა და წარმოებასთან დაუკავშირებელი ქალაქის შვიდწლედი. ცხადია, რომ პოლიტექნიზმის საქმე ამ ორი ტიპის სკოლებში სხვადასხვანაირად ხორციელდება. საქ.-საფ. სკოლას შეუძლია უახლოეს ხანში გახდეს და კიდეც გახდება პოლიტექნიკურ სკოლად; ქალაქის შვიდწლედებში კი ჩვენ გვაქვს მხოლოდ შესაძლებელი ნაბიჯების გადადგმის საშუალებანი.

ბევრმა საქ.-საფ. სკოლამ წარმოებასთან დასაკავშირებლად დღემდე მხოლოდ ექსკურსიები მოაწყო. მაგრამ ექსკურსიების გარდა საჭიროა წამოწყებების კარგად გაცნობა და მათი გამოკვლევების ჩატარება ნაწილების მიხედვით (მაგალითად, ცალკე საამქროების გზით).

ასეთ გამოკვლევათა დროს შეიძლება 4—5 კაცისაგან შემდგარი ჯგუფებით რომელიმე მანქანის შესწავლა. წარმოების მთლიან შესასწავლად უმჯობესია წარმოების ცალკეული რგოლების გარშემო პროგრამების შექმნა. სკოლების დაგროვებული ცდები და მისი პროგრამა სწავლების შენუთე წლისთვის შეიძლება მთლიანად აგებულ იქნეს წარმოების შესწავლაზე.

ყველაფერი ეს, როგორც ექსკურსია, გამოკვლევა და წარმოების ასახვაც, პროგრამებში პოლიტექნიზმისთვის აუცილებლობას წარმოადგენს. მაგრამ ყველა ეს არ კმარა, საჭიროა ბავშვების მონაწილეობა საწარმოო შრომაში.

საქ.-საფ. სკოლის უფროსი ჯგუფის მოწაფეები, როგორც ზემოთ ვამბობდით, შეიძლება ჩაბმულ იქნან თავისი წამოწყებების ნამდვილ შრომაში. ჯერ, დასაწყისში, შეიძლება პატარა საამქროებში, შემდეგ კი მთავარში და ასე შემდეგ. ყველა ეს ახალი და ძალიან მძიმე საკითხებია, მაგრამ მხოლოდ მათი გადაჭრით ჩვენ ვუახლოვდებით პოლიტექნიკურ სკოლას.

ქალაქიდან საწარმოო პრაქტიკაზე კოლმეურნეობაში

როგორც საბჭმეურნეობის და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებს არ შეუძლიათ განისაზღვრონ მარტო სასოფლო-სამეურნეო შრომით, და საჭიროა გაეცნონ ფაბრიკის შრომასაც, ასევე საქ.-საფ. სკოლას არ შეუძლია განისაზღვროს ინდუსტრიალური შრომით—მან თავის მოსწავლეებს უნდა მისცეს სას.-სამეურნეო შრომის ცოდნაც.

ზაფხულობით და ზამთრობითაც, საქ.-საფ. სკ. მოსწავლეებს სჭირდებათ საწარმოო პრაქტიკაზე ყოფნა საბჭმეურნეობებში. ამ საფუძველზე მტკიცდება კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის, შეფობის გზით. კოლმეურნეობის მოწაფეები იგზავნებიან საწარმოო პრაქტიკაზე ფაბრიკაში და იყენებენ საქ.-საფ. სკოლების ლაბორატორიებს, ხოლო ფაბრიკის მოწაფეები კი იგზავნებიან საწარმოო პრაქტიკაზე კოლმეურნეობებში, იყენებენ მათ გამოცდილებებს და ლაბორატორიებს. ასე უნდა აღიზარდოს ახალი ადამიანი, პოლიტექნიკური ცოდნით აღჭურვილი. არა ბევრის, მაგრამ მაინც საკმაოს გაკეთება შეუძლია პოლიტექნიზმის განხორციელებისათვის ქალაქის მასიურ სკოლასაც. მას გაუჭნელდება ფაბრიკის საწარმოო შრომაში ჩაბმა, მაგრამ მაინც სჭირდება შრომითი პოლიტექნიკური ჩვევების მიღება



მუშაობა საზეინკლო სახელოსნოში

ორთქლმავალი ბელიეერი

სახელოსნოებში. ამიტომ სახელოსნოები მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს რომელიმე წარმოებას და გახდეს სასწავლო საამქროდ, რომელიმე წამოწყებისა.

რასაკვირველია, პირველ ხანებში დიდი სიძნელეები იქნება. ჩვენ ვიცით, როგ მეურნეები დიდი ხალისით არ ხვდებიან მოწაფეების ექსკურსიებს. „ფაბრიკა-ქარხნებში ისინი ხელს შეგვიშლიან მუშაობაში“—ამბობენ ისინი მოწაფეებზე. ხშირად ეს მართლაც ხდება. მაგრამ თუ სკოლა დასაწყისშივე დაუკავშირდება თავისი მუშაობით ფაბრიკის საზოგადოებრივ ცხოვრებას, თუ სკოლა დაიწყებს მუშაობას ჯერ კლუბებში, ბიბლიოთეკაში, შემდეგ კი მისთვის გაიღება საამქროების კარებიც, მაშინ ის ყოველთვის სასურველი სტუმარი იქნება ფაბრიკაშიაც.

ამდაგვარად, სხვადასხვა პირობებში ყველა ჩვენს სკოლაში შესაძლებელია გაიშალოს პოლიტექნიკური განათლება. მაგრამ რა ვუყოთ პიონერებს? როგორ განახორციელოს პოლიტექნიზმი პიონერრაზმმა?

პიონერრაზმები ისე, როგორც ჩვენი სკოლები, აქამდე მოწყვეტილნი იყვნენ წარმოებისაგან. შრომითს ჩვევებს პიონერები იღებდენ ან სკოლის სახელოსნოებში, ან მთელი კლუბის სამუშაო ოთახებში.

პოლიტექნიკური მოძრაობა ბავშებში ყოველდღე ძლიერდებოდა და წინ მიდიოდა ყოველწლიურად: რადიოწრეები, ავიოწრეები, ელექტროწრეები და გამომგონებლობა მოზარდ თაობაში ფართოდ არის გავრცელებული. პიონერ-ორგანიზაციამ პირველად მოჰკიდა ხელი ამ საქმეს. პირველად მათ მოაწყვეს ათეული და ასეული საბავშო ტექნიკური სადგურები და ემსახურებოდენ ბავშების ტექნიკურ ინტერესებს.

სამფინგეგმისთვის მებრძოლნი პოლიტექნიზმისათვის მებრძოლნიც არიან

მიუხედავად ბავშების ტექნიკური ცნობისმოყვარეობისა, ბავშთა ტექნიკური სადგურები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. ისინი მოწყვეტილნი არიან წარმოებისაგან და ნაკლებად ემსახურებიან პოლიტექნიზმის ამოცანებს.

რა უნდა ქნას ასეთ შემთხვევაში პიონერრაზმმა?

პირველყოვლისა, საჭიროა სკოლის გარდაქმნა, საჭიროა ბრძოლა, საჭიროა სასკოლო სახელოსნოებისა და მთელი სკოლის დაახლოება წარმოებასთან.

მეორედ საჭიროა აგრეთვე წარმოებასთან დაკავშირება ბავშთა ყველა ტექნიკური მოძრაობის, ბავშთა ტექნიკური წრეების და ტექნიკური სადგურების.

აი ორი მთავარი ამოცანა, თითოეული პიონერრაზმის დღის წესრიგში მდგომი. პირველი ამოცანის გადაწყვეტა საჭიროა სკოლასთან ერთად, მეორესი კი დამოუკიდებლად.

მაშასადამე, გარდა პიონერორგანიზაციისა, არავინ არ უნდა იდგეს ბავშთა სკოლის გარეშე მუშაობის სათავეში. დღეს ბავშთა პოლიტექნიკური მოძრაობა და ბავშთა გამომგონებლობა სკოლის-გარეშე მიმდინარეობს.

პიონერები უკანასკნელ ხანში ისე დაუახლოვდენ წარმოებას, როგორც არასდროს და იბრძვიან სამფინგეგმის შესრულებისათვის, ღრმად შეჭრილნი ფაბრიკა-ქარხნების საამქროებში. იბრძვიან რა გარღვევების ლიკვიდაციისათვის წარმოებებში, მათ მოაწყვეს საწარმოო ლაშქრობა. საჭიროა ამ ლაშქრობის გარდაქმნა ბავშების პოლიტექნიკური განათლებისათვის. ეს წამოწყებები ჩვენი ორგანიზაციების მიერ უნდა იქნეს გამოყენებული.

ახალგაზრდები პოლიტექნიზმის გამჭედი არიან

პოლიტექნიკური განათლებით დაინტერესებულია ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო და მისი ხელმძღვანელი კომუნისტური პარტიაც. სოციალიზმის შენებისათვის საჭიროა პოლიტექნიკურად მომზადებული კადრები. მიუხედავად ბევრი დაბრკოლებისა პოლიტექნიზმის განხორციელების გზებზე, საჭიროა ყოველი სიძნელის დაძლევა და ამ გადაუდებელი ამოცანის გარშემო მთელი ძალების მობილიზაცია.

საჭიროა ამასთან ერთად დამაჯერებლად ავუხსნათ მოზარდ თაობას პოლიტექნიკური აღზრდის მნიშვნელობა და მიზანი. ეს პირველი ნაბიჯი უნდა გადადგას თვით პიონერ აქტივმა. პიონერრაზმები მტკიცედ უნდა მიეკიდონ სკოლის გარდაქმნის, სახელოსნოების ორგანიზაციისა და ცოდნით შეიარაღების საქმეს.. ამ საქმეში მთავარი როლი კომკავშირმა უნდა ითამაშოს.

მეორე ნაბიჯი ბავშთა წრეების შექმნაა, საც შესაძლებელი იქნება პოლიტექნიზმის შინაარსის ფართოდ და ღრმად გაცნობა, ასევე სკოლაში შრომის სწორად დაყენებისა და ფაბრიკა-წარმოებასთან სკოლის მტკიცედ დაკავშირებისათვის.

მესამე ნაბიჯი ბავშთა კომიტეტების, ორგანიზაციების და ბრიგადების ჩამოყალიბებაა.

მეოთხე—პოლიტექნიზმის პროპაგანდა მუშებს შორის. მუშათა საერთო კრებებზე სკოლის გარდაქმნის საკითხების დასმა და ბავშთა აღზრდასთან დაკავშირებით მისი გაშუქება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს პოლიტექნიკური განათლებისათვის.

აგრეთვე საჭიროა ორგანიზაცია და გამომუშავება საბრძოლო მოქმედების სწორი გეგმისა. თუ პიონერორგანიზაცია კომკავშირის ხელმძღვანელობით იბრძოლებს პოლიტექნიზმისათვის, ისე როგორც იბრძვის სამფინგეგმის შესრულებისათვის, გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება.

მილიონი ბავშები—ყველანი პოლიტექნიკური აღზრდისათვის ბრძოლაში!

უნდა ვიქნეთ ლენინელები ამ დიად საბრძოლო ასპარეზზე, და გამარჯვება ჩვენი იქნება.

თ—ნი.

მეკანო

ბოუთმენლად ელოდენ ბავშები იმ დღეს, როდესაც დაბრუნდებოდა მამა მოსკოვიდან. ბოლოს, როგორც იყო, ეს დღეც დადგა.

— აბა, გვიამბე, მამა, რა ნახე მოსკოვში.

აყრიამულდენ ბავშები და შემოეხვივნენ ვასოს.

— მოესწრებით, მოესწრებით, ცოტა დამაცადეთ.

მამამ დაურიგა ბავშებს მოსკოვიდან ჩამოტანილი ნივთები.

— რა მშვენიერი წიგნია, რა საინტერესო იქნება მოსკოვის ზოოლოგიური ბაღის ნახვა! — წამოიძახა რეზომ.

— აბა მეც მაჩვენე, — მიუჯდა ლელი.

— მამა, ვეფხვი ასე თავისუფლად დადის? ხომ შესჭამს ხალხს, გალიაში რატომ არ არის. — დააყარა კითხვები ციალამ.

— აბა დააკვირდი სურათს. ხედავ, აი ეს განიერი თხრილია, წყლით სავსე. ვეფხვი ვერ გახტება. იმდენად განიერია. ხალხი თხრილთან დგას და უყურებს...

— ეს რაა?! — წამოიძახეს ბავშებმა, როდესაც მამამ კოლოფს თავი ახადა და გამოჩნდა ლითონის თხელი ფირფიტები — სამკუთხედები, კვადრატები, ზოგი ვიწრო და გრძელი, ზოგი განიერი, გახვრეტილი, გაუხვრეტელი, ნაირნაირი ფორმის და სიდიდის...

— რა არის ეს, რა არის?

— მეკანო, — უპასუხა მათ მამა.

— მეკანო ტექნიკური სათამაშოა. აი, ამ ალბომს ხომ ხედავთ? —სთქვა ვასომ და გადაშალა ალბომი,—აგერ ორთქლმავალი, აი ხიდი, აგერ კოშკი, სხვადასხვა მანქანა... თუ დაა-



მეტალურგიულ დეტალების გამომშვები ქარხანა

კვირდებით, ვთქვათ, დახატულ ორთქლმავალს, შეგიძლიათ ამ ყუთში მოძებნოთ ისეთი ფირფიტები, ხრახნები, ჭანჭიკები და სხვა, რომ ორთქლმავალს გააკეთებთ. აი, თუ მოინდომებთ ხიდის აგებას, — ამასაც შესძლებთ და ისეთი მაგარი ხიდი გაკეთდება, რომ აგურსაც, გინდ უთოს, გაუძლებს...

ბავშვები, პიონერები, სულგანაბულნი უსმენდენ.

— უჰ, რა მშვენიერია! — წამოიძახა თვალებგაბრწყინვებულმა რაფომ.

— თუ დააკვირდებით, სინჯავთ, იქნებ ისეთი რამეებიც გააკეთოთ, რაც ამ ალბომში არ არის... — თქვა მამამ, და ბავშვები მიესიენ უცხო და ესოდენ საინტერესო მეკანოს.

— გაჩაღდა მუშაობა... ვინ რას აკეთებს და ვინ რას!

აი, რეზოს თანდათან აჰყავს რაღაც კოშკი; მიუყენებს ერთ ნაწილს, — არ მიუდგება, გადასდებს, ეძებს მეორეს, სინჯავს... მას ეხმარებიან ციალაც, ნელიც, და, ბოლოს ბავშებმა კოლექტიური ძალღონით გააკეთეს „ეიფელის კოშკი"; ამას მოჰყვა ორთქლმავალი, ხიდი და სხვ.

ვასო სიამოვნებით ადევნებდა ხოლმე თვალს ბავშვების მუშაობას. მათ ამხანაგებიც მიემატნენ, და მეკანო გახდა წითელ ყელსახვევიანთა საყვარელი გასართობი, მაგრამ ეს ხომ უბრალო გართობა არ იყო, აქ ისინი ეცნობოდნენ ნაირ-ნაირს მანქანებს, ნივთებს, ეცნობოდნენ მათ აღხაგობას, კონსტრუქციას...

— პიონერებო, იყავით მზად, უნდა გიამბოთ მეკანოს შესახებ.

— მზად ვართ, მამა! — ერთხმად შესძახეს ბავშებმა და გადაიხარხარეს.

— მეკანო, როგორც ხედავთ, ძალიან საინტერესო და სასარგებლო სათამაშოა. საზღვარგარეთ ძალიან გავრცელებულია ის, საბჭოთა კავშირში კი ხარკოვში დაიწყეს ამასწინად მისი გაკეთება. ქარხანამ გამოუშვა 1400 პირველი კოლოფი და უცბად გასაღდა კიდეც. განზრახული აქვთ 100000 კოლოფამდე დაამზადონ, შემდეგ კი — 300000, მაგრამ განა ეს იკმარებს? საჭიროა გაცილებით მეტის დამზადება. რომ საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ბავში ჩავაბათ ამ სასარგებლო გართობა — ნუშაობაში. მეკანოს კოლოფებს საბჭოთა კავშირში ჰქვია „პიონერი" ან „კონსტრუქტივისტი"...

— გამოწერა არ შეიძლება? — იკითხა სიკომ, რეზოს ამხანაგმა.

— როგორ არა. ხარკოვიდან, მედვედევის სახელობის ქარხნიდან, ან მოსკოვიდან, შემდეგი მისამართით. „მოსკოვი მოსტორგ".

ცოტა ხნის შემდეგ პიონერები კვლავ მეკანოს მიუბრუნდენ და გატაცებულნი აწყობდენ სხვადასხვა მანქანა - იარაღს...

შ. თ.



აკეთებენ ავტომობილის მოდელს

ნბოლოდ ხანდისხან შერხეული ხეებით დანაკიმი თოვლის ფიფქები თუ შეეხებოდა ოლეგს ცივი პასუხით.

ამ დროს შორიახლოს ხეებს ამოფარებული ჟანდარმთა ოფიცერი იჭმეებოდა პაპიროსის წევით.

მასთან მყოფი ორი ხელქვეითი ერთმანეთს ეცილებოდა არყის ბოთლს.

—მოდი, ბარემ, და იმ ლეკვსაც მივაყოლებ ზედ, თქვენო აღმატებულებავ! — გამოეჭიმა ერთი მათგანი ოფიცერს და თოფი მოიმარჯვა ოლეგზე...

— ვირო, არ უნდა... შესდექ, ეგეც რომ მოკლა, მერე ვინღა იმუშავებს? დეე, გაიზარდოს და ბიმის მაგიერ ჩაძვრეს მაღაროში თხუნელა, მიუგო უფროსმა.

ბ

—როდის მოხდა?

—1912 წლის 4 (17) აპრილს.

—სად?

—ბოდაიბში, ლენას ნაპირზე, ოქროს მადნების მიდამოში ამ დღეს დიდი სისხლის ღვრა იყო.

მაშინ საშინელ გაჭირვებას განიცდიდენ მუშები იქაც; ბევრი მუშაობა, მცირე ხელფასი და...

მოთმინების ფიალა აღივსო.

რამოდენიმე არჩეული კაცი წავიდა მუშებიდან მადნების მეპატრონეთა

ოლეგი

(ლენის მუშების დახვრეტის დროის ამბავი)

ა

— დედა, დედა! —დასტიროდა პატარა ოლეგი, როცა დედა დაეცა მდინარე ლენას ნაპირზე საიდლანაც გამოსროლილი ტყვიით დაჭრილი.

საშინელი ტანჯვა, სიკვდილთან ბრძოლა... — შვილო... ოლეგ... რომ გაიზრდები, შურისძიება, შვილო...— ძლივსლა წაილულლულა მან, გულში ჩაიხუტა ბავში, უნდოდა ეკოცნა, მაგრამ სურვილი ტუჩებზე შეაკვდა, თვალები დაატრიალა, გააჟრჟოლა, სული დალია...

ციოდა...

ტურუხანის მოხეტიალე ქარი ჰქრო და ყინულოვანი ოკეანის მხრით...

ციმბირის მშრალი ყინვა ჯერ მაინც არ დნებოდა ნაადრევი გაზაფხულის მოახლოვებით...

ოლეგი ხედავდა დედის გვერდით გადმონადენი სისხლი თოვლს წითელ ზოლად როგორ მიჰყვებოდა.

ის იდგა მარტო, ხედავდა დედა აღარ ინძრეოდა, და თვალის ქუთუთოებზე ცრემლები მძივად გადმოეკიდა...

—დედა, დედა, ხმა გამეე...—მოსთქვამდა გულამომჯდარი და ეხვეოდა, მაგრამ ირგვლივ სიჩუმე იყო.



მუშაობა თესლის დახარისხებაზე

კომპანიის მმართველობასთან ცხოვრების გაუმჯობესებაზე მოსალაპარაკებლად.

ამ კომპანიის წევრი იყო თვით მეფეც...

ამორჩეული ხალხი დააპატიმრეს.

მუშათა ღელვა აღლვდა.

ამ მიყრუებულ მხარეში ათასეულ ვერსზე მდებარე ქალაქ ირკუტსკიდან გამოიწვიეს ჯარი ჯალათ როტმისტრ ტერეშჩენკოს მეთაურობით.

და რა მუშები შეიკრიბენ, გაუდგენ გზას, რომელიც ტყეზე გადადიოდა, კომპანიის კანტორისაკენ, რომ მოეთხოვათ დაპატიმრებული დელეგატების განთავისუფლება, პირობების გაუმჯობესება, გაისმა.

თაფ!

იგრიალა ასეულმა თოფმა. ასტყდა საშინელი ხმაური, ყვირილი, კვნესა. ტყვიები გამწარებულ ფუტკრებივით ბზუიან.

მიუხედავად იმისა, რომ მშვიდად მიდიოდნენ მუშები, მაინც ჩასაფრებოდა ჯარი.

ისროლეს..

მუშათა სვლა შედგა.

არ ელოდენ ასეთ მუხანათურ ამბავს, რადგან ზოგიერთ მათგანს ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ მეფე სასიკეთილოდ არ გაიმეტებდა მათ, მიუხედავად იმისა, რომ უფრო შეგნებული მუშები რევოლიუციის ცეცხლით ანთებულ სიტყვებს ისროდენ:

—მხოლოდ ბრძოლა, თუ გინდა თავისუფლება!

250 მოკლული, 270 დაჭრილი,—აი ამ **დღის** სურათი... და, უიარაღო მუშები ცეცხლში...

შეიძრა იქაურობა, გამოცვივდენ შინ დარჩენილი ცოლები, ბავშვები... და... გრუნიაც აედევნა მათ, რომლის ქმარიც წასულ მუშებში ერია, მოკლე ბილიკით გაიქცა იქით, საიდანაც სროლა მოესმა.

მას თან მიჰყავდა ერთადერთი შვილი ოლეგი.

აი სად ესროლეს.

ოლეგი იდგა მოკლულ დედასთან. ბევრჯერ სცადა აეწია, მაგრამ ამის ღონე არ შესწევდა.

—მაცათ, ჯალათებო, ჯერ გავიზარდო!

ბ.

მუშები 250 კუბოს მოსდევდენ. მათ შორის იყვნენ დაქვრივებული ქალები, დაობლებული შვილები, ამათში ოლეგიც იყო ორ კუბოს უკან... მისი პატარა გული სწუხდა, მაგრამ ინთებოდა რაღაცა გამოურკვეველი შურისძიების ცეცხლი.

რაღაცა გამოურკვეველი შურისძიების ცეცხლით.

ზოგს დედა მაინც დარჩა, ზოგს დაჭრილი მამა, ძმა, მაგრამ ეს კი სრულიად მარტოა, უპატრონო, არავინ ჰყავს მოალერსე.

— საყვარელო დედა, მამა... მე გადვუხდი თქვენს მკვლელებს!.. —გაისმა მისი ხმა მშობლების სამარეზე, რა ხალხმა უკვე დაშლა იწყო სასაფლაოდან.

რამდენიმე დღის შემდეგ ბევრი ეძებეს ის მეზობლებმა, რომ პური მაინც ეჭმიათ, მაგრამ არსად ჩანდა, სადღაც დაიკარგა...

— წავალ, ქვეყანა დიდია, ალბათ მეც ვიპოვნი ერთ კუნჭულს, პური ვიშოვნო და როცა გავიზრდები, მაშინ კი...

ფიქრობდა ერთი პატარა ბიჭი, რომელიც დიდი ქალაქისაკენ მომავალ გზას დაადგა.

ეს იყო ობოლი ოლეგი, რომელსაც გული აღარ დაუდგა ლენის სანაპიროზე.

დიდხანს იარა.

შიმშილი...

სიცივე...

სიტიტვლე...

მუშაობა დეტალებზე

გაჭირვება...

ერთხელ მგლებმა კინაღამ დაგლიჯეს, ხეზე ასვლა რომ არ მოესწრო, რა გზად დაულამდა.

გ.

— ახალი დეპეშა! — იყვირა ვიღაცა ბიჭმა და სიხარულით ააფრიალა ქაღალდის დასტა.

— რა მოხდა?

— რა ამბავია?

გაისმა აქეთ-იქიდან.

— აი, წაიკითხეთ, ჩამოაგდეს.

ვინა?

ხალხი შეჩოჩქოლდა.

სადგური გაჭეელია ხალხით, მატარებელის მოლოდინი...

აქვე არიან ახლომახლო სოფლებიდან ჩამოსული პოლიტიკური გადმოსახლებულნიც. ბაზარზე ზოგს რა უყიდია, ზოგს რა.

მათი სახე ნათდება.

— დაინგრა ტახტი!

— ბოლო მოეღო ჯალათ მეფეს!

— მაშ ისევ ჩვენ ჩვენს მხარეში!

— დიაღ, უქმად არ ჩაუვლია ლენის ამბებს, ჩაერია რკინის გზის მუშა, რომელიც მაშინ ლენაზე მუშაობდა და იქ მიღებულ ჭრილობით ახლაც კოჭლობდა.

— რაო?! —დაულრიალა ჟანდარმმა, რა ბაქანზე გამოვიდა და მომღიმარე ბიჭმა თითქმის ცხვირთან დეპეშის მიტანით უთხრა:

— მთავრობა გადაიცვალა.

— მაწანწალა! ჯიბგირო! აქვე დაგხვრეტ! როგორ ბედავ? ღრიალებდა ჟანდარმი ფედკა კრუჩოკი.

ეს იყო 1917 წლის თებერვლის მიწურულს.

ე.

თუმცა ადგილობრივი ხელისუფლება მალავდა ამ ამბავს, მაგრამ მუშებს რა გამოეპარებოდათ, პოლიტგადმოსახლებულთ მიტი რის ლოდინი ჰქონდათ! ტუსაღზე ადრე ვინ რას გაიგებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

და აკი, ადგილობრივ საპყრობილეზე გადმოკიდეს წითელი დროშა.

მარსელიეზა სძრავდა კედლებს...

საიდუმლო სტამბამ დეპეშები მოფინა ციმბირის მიყრუებულ კუთხეებსაც კი.

მხოლოდ ჟანდარმ კრუჩოკს ვერ დაეჯერა ეს ამბავი, რამდენჯერმე თვალებიც კი დახუჭა, იქნება სიზმარი იყოსო.

როგორ? მეფე და ძირს?!

ამას როგორ იფიქრებდა.

განა ტყუილად შესწირა ამდენი ერთგულება!

რადღა წაჰყვა როტმისტრ ტერეშჩენკოს ამ ხუთი წლის წინად ლენაზე.

იქ ხომ ერთი ბიჭუნა კინაღამ ზედ დააკლა დედას.

— იქნებ ეს ბიჭიცაა? — ფიქრობს.

— ااه, იძრო რევოლვერი, მაგრამ ბიჭი სწრაფად დასწვდა ლიანდაგებში დავარჩნილ რონოდის ხრახნს...

და კრუჩოკი დაბარბაცდა, დაეცა. სისხლმა შადრევანივით იხეთქა თავიდან.

— თავისუფლება!

წამოიძახა ბიჭმა, ცალი ფეხი რომ შეადგა კრუჩოკს და მისი რევოლვერი ხელში შერჩა.

3.

ამასობაში მატარებელიც შემოგრიალდა სადგურში. ორთქლმავალზე ფრიალებდა ალმოდებული დროშა.

რონოდებიდან ისმოდა რევოლუციონური სიმღერა.

— ადე! შურისძიება! განა შეგარჩენ ჩემი დედ-მამის სიკვდილს, რევოლუციის ძალით დაპატიმრებული ხარ! — უყვირა ბიჭმა კრუჩოკს, ამოჰკრა ფეხი, რევოლვერი ზურგში მიაბჯინა და წინ გაიგდო.

— გაუმარჯოს ლენელ ოლეგას!

ამ სიტყვებთან ერთად ბიჭს ხელი გაუწოდა რკინისგზელმა მუშამ, რა იცნო.

— აა, ძია ალიოშა! — გაეხარდა ბიჭს, რა მოაგონდა მამის ამხანაგი.

— მაგას ჩვენ გავუსწორდებით, ოლეგ.

— არა, ვინ იცის, ძია, იქნებ ესეც იყო მაშინ ლენაზე?

— ალბათ.

— სად დაიკარგე, ოლეგ, რომ აღარსად გამოჩნდი?

— რევოლუციას ვახდენდი, — მიუგო ამაყად, დოინჯშემოყრით, და გაიღიმა.

ოლეგზე ერთხანს ამბობდენ ირკუტსკში — პიონერიაო.

მერე, სამოქალაქო ომში, პატარა პარტიზანს ეძახდენ. ახლა კი ხმა დადის: ლენელი ოლეგი ომსკში ლენინელიაო...

სეზმან ერთაწმინდელი.

24 აპრილს დილის 12 საათზე სოფ. სიმონეთში გარდაიცვალა მწერალი

დავით კლდიაშვილი

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

კლდიაშვილი დაიბადა 1862 წელს, სოფ. სიმონეთში. სწავლა პირველად დედამ დაუწყებინა, ხოლო როდესაც 7 წელი შეუსრულდა, იგი ქუთაისში წაიყვანეს და მრევლიშვილის სასწავლებელში მიაბარეს.

1872 წელს დავით კლდიაშვილი აზნაურთა 32 ბავშვთან ერთად ქუთაისიდან კიევში გაიგზავნა სამხედრო გიმნაზიაში სასწავლებლად. 1880 წელს სამხედრო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში გადაიყვანეს. ეს სასწავლებელი მან 1882 წელს დაამთავრა და იმავე წელს ბათომში იქნა გაგზავნილი სამხედრო სამსახურში.

ბავშობიდანვე თვითმპყრობელობისადმი მტრულად განწყობილი დავით კლდიაშვილი განირჩოდა სხვა სამხედრო პირთაგან თავისი სიძულვილით მეფის რეჟიმისადმი.

ბათომში ჩასვლის შემდეგ მან ბათომის საზოგადო საკრებულოს გარშემო თავი მოუყარა ადგილობრივ მოწინავე ინტელიგენციას.

ამავე ხანებში დავით კლდიაშვილი თანამშრომლობს ტფილისის ჟურნალ-გაზეთებში, სადაც აშუქებს ბათომის ცხოვრებას. მუშების მდგომარეობა ბათომში იმ დროს მეტად მძიმე იყო. მცირე ხელფასიან მუშებს საშუალება არ ჰქონდათ სასწავლებელში თავისი შვილები მოწინავე ინტელიგენციის ინიციატივით და მუშების უშუალო მონაწილეობით ბათომში დაარსდა უფასო სკოლა, რომლის სასარგებლოდაც კრებდენ ფულს, გარდა ამისა მუშების დასახმარებლად, გრიგოლ ვოლსკის ინიციატივით, დაარსდა საურთიერთო საკრედიტო საზოგადოება. ორივე ამ წამოწყებაში დავით კლდიაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

ქალაქის გაზრდასთან დაკავშირებით მეფის მთავრობამ გადასწყვიტა ქალაქის თვით მმართველობის მოწყობა. თვითმმართველობის ასარჩევად ბათომში დიდი მზადება სწარმოებდა. ემზადებოდნენ, როგორც შავრაზმელები, ისე რევოლიუციონურად განწყობილი ოპოზიციონური ჯგუფები. უკანასკნელად მუშაობა ფარულად უხდებოდათ. მიუხედავად ამისა არჩევნები მათ სასარგებლოდ დამთავრდა. ამ საქმიანობაში დავით კლდიაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

1905 წელს ბათომში ჩამოასვენეს ოდესაში შავრაზმელების მიერ ებრაელების ჟლეტის დროს მოკლული საბა კლდიაშვილის გვამი. ცხედარი წასვენებული იქნა ქუთაისში, გასვენება ნამდვილ რევოლიუციონურ ხასიათს ატარებდა, ამ გასვენებას დაესწრო დავითიც. ამის შესახებ აცნობეს გენერალ გრიაზნოვს, რომელმაც ის დაღესტანის ერთ ერთ მივარდნილ კუთხეში გადაასახლა. დავით კლდიაშვილი უკვე ბათომიდან წამოსული იყო, როდესაც არსენ ჯორჯიაშვილმა მოჰკლა გრიაზნოვი. ამის გამო გზები ჩაიკეტა, და იგი ისევ ბათომში დააბრუნეს. ამის შემდეგ დავით კლდიაშვილი გაშვებულ იქნა „ოტსტავკაში" და ის ქუთაისს დასახლდა ერთხანს.

1914 წ. ომის დაწყების შემდეგ დ. კლდიაშვილი გაწვეული იქნა სამხედრო სამსახურში, რომლიდანაც მხოლოდ რევოლიუციის შემდეგ გაინთავისუფლა თავი. ქვემო იმერეთის აზნაურობის ყოფა-ცხოვრებას დავით კლდიაშვილი ზედმიწევნით გაეცნო თავის სიმამრის პავლე მაჭავარიანის ოჯახში (ბათომში), სადაც განუწყვეტლივ იყრიდენ თავს იმერელი აზნაურები.

— „იქ ჩემთვის ნამდვილი აკადემია იყო" —ამბობს ამ ოჯახის შესახებ დავით კლდიაშვილი თავის მოგონებაში. ამ „აკადემიაში" მიღებული დაკვირვებები მან დიდი ხელოვნებით გამოიყენა თავის თხზულებებში, რომელთაგან აღსანიშნავია: „სოლომონ მორბელაძე", „სამანიშვილის დედინაცვალი", „ქამუშაძის ოჯახი" და კომედიები—„დარისპანის გასაჭირი" და „ირინეს ბედნიერება" და სხვა.



„სრულდება მეორე წლის თავი საბჭოთა კავშირში სოციალისტური შეჯიბრების დაწყებიდან და ჩვენ წელს უნდა ავამუშაოდ 518 ახალი ფაბრიკა და ქარხანა, გაიბეთ თუ არა თქვენ, რომ მიმდინარე წელს ჩვენ უნდა მოვაწყოთ 1040 ახალი სამანქანო - სატრაქტორო სადგური. დაუფიქრდით ჩვეხ უდიდეს გამარჯვებათა ამ ციფრებს“. **(ტულის პროლეტარიატის მომართვიდან).**

518—1040

როს გადვიკითხე მე ეს მომართვა;
ენტუზიაზმის გრძნობა ვიგრძენი,
ჩვენ შევასრულებთ გადამწყვეტს
გარდა,
100 პროც.-ით, სიტყვას ვიძლევით.
ავაგრიალებთ მძლავრ ელსადგურებს
ტულის მუშებო, აღარ შეგდრკებით,
თქვენს მომართვაზე სიტყვას ვიძლევით
ბოლშევიკურად ავმოქმედდებით,
წინ... სოციალიზმის—ტემპით ნაბიჯით
ჩვენ დავაარსებთ დამკვრელ ბრიგადებს,
1040-ის სახელწოდებით,
აბა ბიჭებო ვინც, რომ ივარგებს,
წითელ დაფაზე გამოეკვრებით;
და შევასრულოთ მომართვა ტულის,
სოციალისტურ ტემპით შეზრდილნო,
ნუღარ შედრკება ფოლადის გული,
ენტუზიაზმის მესაჭე გმირნო.
წინ... ვით ბრძოლებში — ბარიკადებზე.
ავაგუგუნოთ ქარხნების ხმები,
ტულის მომართვა გეწეროთ მკერდზე
აიაგრიალოთ ელსადგურები,
წინ... სოციალიზმის გადაშლილ ველზე,
518-ის — 1040-ის აგუგუნებით.

პიონერი: **ავთანდილ კაშმაძე.**

ბრძოლა მინდვრის მავნეებლებთან

დღე საქმისათვის გამიზნულია,
მზე გაზაფხულის სიცხეს აზღვავებს;
ყუმბარის ცეცხლი ჩვენი გულია—
დღეს მავნებლებთან ბრძოლას ვამწვავებთ.
გადაჭრილია: ცეცხლად გავარდეთ,
მინდვრის მავნებლებს სპობა, — წალეკვა!
ბოლშევიკური ტემპით ჩატარდეს!
ზღვასავით ყანა მეჯლისს დარეკავს.
და გაშლილია ჩვენი რაზმები,
ჰქუხს პიონერთა ამოქმედება.
იცით?! არ გვიყვარს მშრალი ფრაზები,
საქმეს გულები ცეცხლად ედება!
მივდევთ სოროებს, და წამლის წვიმა,
მოზღვავებული ჩადის, ტრიალებს,
ჩვენ სიხალისემ გამოგვიღიმა,
ის სასიკვდილოდ დაიღრიალებს.
დავწვათ, დავარტყათ, — ჩვენი ვალია;
ვრცელი მინდორი აგრიგალდება;
გამძაფრებული ბრძოლა კალიას!
ბრძოლა გულდაგულ მინდვრის თაგვებთან!

ა. აკოფოვი.

ვინ არის მართალი?

მოხდა არა სასიამოვნო ამბავი, უკანასკნელი თვის განმავლობაში ჩვენი ერთ - ერთი ფაბრიკის პიონერრაზმიდან 25 ბავში გამოვიდა, მათ მიერ პიონეროორგანიზაციის რიგების დატოვებამ დიდი აღელვება გამოიწვია, როგორც მთელ რაზმში, ისე კომკავშირის უჯრედის და მუშების რიგებშიც, რომლებიც დაკავშირებული იყვენ პიონერებთან.

მოწვეულ რაზმის ღია კრებაზე დაისვა საკითხი ბავშების მასიურად გასვლის მიზეზების გამორკვევა. საკითხის გარშემო ცხარე კამათი გაიმართა.

ერთნი ამბობდენ: წავიდენ და კარგადაც მოიქცენ; რისთვის **დაეცადათ რაზმში?** დანარჩენებიც ასე მოიქცევიან, იმიტომ, რომ ჩვენს რაზმში არაფერია საინტერესო. ყოველ შეკრეფაზე თითქმის ერთდაიგივე ისმის; სოციალისტური შეჯიბრება, სამფინგეგმა, კოლექტივიზაცია, პურის დამზადების და თესვის კამპანიები... განა ეს ბავშების საქმეა? მუშები თვითონ მოუვლიან ამ საქმეს და არ არის საჭირო ამ საქმეში ჩვენი გაჩხერა. რაზმმა რომ სპორტის დაყენების საქმეს მოჰკიდოს ხელი, მოაწყოს. მოგზაურობანი. კოლექტიურად კინოსურათის ნახვა, აწყობდეს საღამოებს. შეჯიბრებებს, თავგადასავლიანი წიგნების კითხვას, — მაშინ რაზმიდან არცერთი ბავში არ წავიდოდა.

მეორენი ამბობდენ: უნდა გავასამართლოთ წასულნი. პიონეროორგანიზაცია სწორედ იქცევა, რომ აბამს ბავშებს სამფინგეგმასა და კოლექტივიზაციის ბრძოლაში. სოციალისტურ შეჯიბრებაში: ჩვენ არ შეგვიძლია გვერდზე ვიდგეთ გულხელდაკრეფილნი. როგორ ცვლას აღვზრდით, თუ მარტო კინოში ვიარეთ და საღამოები ვაწყვეთ! ჩვენ ახლა უნდა დავუკავშირდეთ წარმოებას, კოლმეურნეობებს, მუშებს, რომ მათგან ვისწავლოთ სოციალიზმის მშენებლობა. მაგრამ საჭიროა ეს მუშაობა საინტერესოდ ტარდებოდეს; და ბავშებს უფრო მეტს ყურადღებას აქცევდენ და დახმარებას უწევდენ თვით მუშებიც. ეს კი ჩვენი საქმეა, ჩვენ თვითონ უნდა დავაყენოთ ეს მუშაობა ისე, რომ საინტერესო იყოს. საჭიროა სპორტითაც, მოგზაურობებით და თამაშითაც გავერთოთ, ჩვენ ამის წინააღმდეგი არ ვართ, მაგრამ, რაც მთავარია, არ უნდა დაგვავიწყდეს ხუთწლედის ოთხ წელში შესრულება.

მესამენი გამოდიოდენ: რას ასამართლებთ წასულთ? ისინი ცუდად მოიქცენ, მაგრამ რამ მიიყვანა ისინი აქამდე? რაზმმა სულ კამპანიები და კამპანიები, მოხსენებები და საუბრები! ამიტომაც მოსაწყენი იყო რაზმში. და ბავშები შეკრებაზე აღარ ცხადდებიან. ჩვენ მარტო საფინანსო - სამრეწველო გეგმა კი არ გვინდა, უფრო სწავლა გვჭირდება, რომ კარგი სპეციალისტები გავხდეთ. (ცხადია, რომ პიონერები უნდა დაუკავშირდენ წარმოებას, ეხმარებოდენ მუშებსაც დამზადებების და საფინანსო - სამრეწველო გეგმის შესრულების საქმეში, მაგრამ ზომაზე მეტად გადავაჭარბეთ. ყველა ბავშს კი არ აინტერესებს ეს. ვისაც სურს. დე, მათ მოჰკიდონ ხელი სამრეწველო - საფინანსო გეგმას, ზოგმა კი, ჭადრაკს, სპორტს. დრამწრეს, და სწორედ ამაში უნდა გაუწიოს რაზმმა მათ დახმარება. მაშინ ყველასათვის საინტერესო იქნება და რაზმიდანაც არავინ არ წავა.

რომ დასწრებოდით ამ კრებას, რას იტყოდით ამ კრებაზე დასმული საკითხის შესახებ, გამოთქმულ სამ აზრში, რომელს ეხმრობით და რატომ? დაწვრილებით გამოთქვით წერილობით თქვენი აზრი და გამოგვიგზავნეთ ჟურნალ „პიონერი“-ს რედაქციაში. პასუხი უნდა დაწეროთ რაზმის ხელმძღვანელის დაუხმარებლად. ინდივიდუალურად. თუ ამას რომელიმე თქვენგანი მოახერხებს.

შეიძლება სახელის და გვარის მოუწერლადაც გამოგზავნოთ, თუ ვინმეს მოისურვება. ქ. ტფილისი სახელგამი. რუსთველის გამზირი, № 22. ჟურნალ „პიონერი“-ს რედაქცია.

—● თამაშოგანი ●—

ბურთი იატაკზე

მოთამაშეთა რიცხვი: რვიდან ოცდახუთამდე.

მოთამაშეთა ასაკი: 13—16 წლის პიონერები.

სათამაშო ადგილი: პატარა და მეტად სწორმოედნიანი ოთახი.

სათამაშო იარაღები: დიდი ბურთი (შეიძლება ფეხბურთის ბურთიც).

მოთამაშეთა განაწილება: მოთამაშენი აკეთებენ წრეს, ერთმანეთისაგან თითო ნაბიჯის მანძილზე დგანან და ცალ მუხლზე დაიჩოქებენ. ერთი მოთამაშე წრის შუა ჩადგება.

თამაშის აღწერა: წინამძღოლის მიერ ნიშნის მიცემის შემდეგ მოთამაშენი დაიწყებენ მიწაზე ბურთის გაგორებას. ყველა მოთამაშეს უფლება აქვს ბურთი გააგოროს ვისკენაც სურს; წრის შუა მდგომი მოთამაშე ცდილობს დაიჭიროს გამოგორებული ბურთი და ან გამოსტაცოს ვისმეს ხელიდან. თუ ეს მან მოახერხა, მაშინ ის მოთამაშე, რომელსაც შუაში მდგომი გამოსტაცებს ბურთს ხელიდან (ან, რომელიც ბურთს ისე გააგორებს, რომ შუაში მდგომი მოახერხებს მის დაჭერას) ჩადგება წრის შუა, ხოლო წინად წრის შუა მდგომი დაიჩოქებს სხვებთან ერთად წრის ხაზში.

თამაშის წესები: 1) წრის ხაზზე მდგომთ არა აქვთ უფლება დასტოვონ თავისი ადგილები.

2. არ შეიძლება ბურთის 3 წამზე უფრო მეტ ხანს დაკავება.

3. არ შეიძლება ბურთის ჰაერში გადასროლა.

4. წრის შუა მდგომ მოთამაშეს შეუძლია ბურთი ფეხითაც დაიკავოს (ხოლო აკრძალულია ფეხის გაკვრა).

5. თუ წრის ხაზზე დაჩოქებულმა მოთამაშემ, რომელსაც ბურთი მიუგორეს, ვერ დაიჭირა და ბურთი წრის გარეთ გავიდა, ეს მოთამაშე წრის შუაგულში ჩადგება, უწინ იქ მდგომი კი მის ადგილს დაიჭერს.

შენიშვნა: 1. რადგან ცალ მუხლზე დგომა მალე ჰქანცავს მოთამაშეებს, დასაშვებია მუხლების შეცვლა. 2. თუ იატაკი ცივი არ არის, შესაძლებელია ყველანი დასხდენ და ისე ითამაშონ.

თამაშობის მნიშვნელობა. თამაში ანვითარებს ზემო კიდურებს და მენჯის არეს. თამაში იმავ დროს ანვითარებს ყურადღებას, მოძრაობათა შემჩერებელ ცენტრებს.

ციხის აღება

მოთამაშეთა რიცხვი: ექვსიდან ოცდახუთ მოთამაშემდე.

მოთამაშეთა ასაკი: 12—16 წლამდე.

სათამაშო ადგილი: პატარა და სწორი მოედანი ან ოთახი. მიწაზე მოხაზავენ წრეს, რომლის დიამეტრი დამოკიდებულია მოთამაშეთა რიცხვზე. წრის ცენტრში მოთავსებულია ციხე, რომელსაც წარმოადგენს თავში თოკით შეკრული სამი ჯოხი; (ისეთი სამფეხა, როგორიც იციან მხერხავებმა).

სათამაშო იარაღები: რეზინის დიდი ბურთი (შეიძლება ფეხბურთის ბურთიც), სამი ჯოხი და თოკი.

მოთამაშეთა განაწილება: მოთამაშენი დგებიან მოხაზულ წრეზე 1—2 ნაბიჯის მანძილზე ერთმანეთისაგან. ერთი მოთამაშეთაგანი, რომელიც ციხის მცველს წარმოადგენს, წრის ცენტრში დგება (ციხესთან).

თამაშის აღწერა: წინამძღოლის ნიშნის მიცემისთანავე მონადირე სამჯერ აისვრის ზევით ბურთს და ამ დროის განმავლობაში ნადირები ცდილობენ რაც შეიძლება შორს გაიქცევ მონადირისაგან. როდესაც მონადირე მესამე ბურთის აგდების შემდეგ დაიჭერს ბურთს, იგი გამოეკიდება ნადირებს და ცდილობს მოარტყას ვისმეს (ნადირს); ვისაც ბურთი მოხვდება, შეუძლია ადგილი სვე აიღოს ბურთი და მოარტყას მონადირეს. თუ მან ეს მოახერხა, იგი ისევ ნადირად დარჩება, და თუ არა, ძაღლად იქცევა და ეხმარება მონადირეს დანარჩენი ნადირების დაჭერაში. დახმარება იმაში მდგომარეობს, რომ ძაღლი აწვდის ბურთს მონადირეს. უკანასკნელი ნადირი, რომელიც არ დაუჭერია მონადირეს, ითვლება მოგებულად და იგი გახდება მონადირედ და თამაში თავიდან იწყება.

წესები: 1. თამაშის დაწყებისას მონადირეს არა აქვს უფლება გაისროლოს პირველად ბურთი, თუ იგი სამჯერ არ ააგდო ზევით.

2. დაღალულ ნადირს შეუძლია ესროლოს ბურთი მონადირეს იმ შემთხვევაში, თუ იგი მოასწრებს მონადირეს გასროლილი ბურთის აღებას.

3. ნადირს შეუძლია შეეხოს ბურთს იმ შემთხვევაში, როდესაც მას იგი მოხვდება. დანარჩენ შემთხვევაში ნადირს არა აქვს ბურთის შეხების უფლება.

4. ნადირი, რომელიც მოშორდება მოხაზულ მოედანს, დაჭერილად ითვლება.

5. თუ ბურთი თამაშის დროს გავარდა მოხაზული მოედნის გარეთ, მისი შემოტანა მხოლოდ მონადირეს შეუძლია.

6. ბურთის ფეხით გაკვრის უფლება ენიჭებათ ნადირებს მხოლოდ მის შემდეგ, როდესაც მონადირე ორ ძაღლს შეიძენს.

7. ნადირები, რომელნიც წესებს დაარღვევენ, დაჭერილად ითვლებიან და ძაღლებად გახდებიან.

შენიშვნა: თუ თამაში პატარა მოედანზე ან ოთახში სწარმოებს, მაშინ მონადირე არ ირბენს მოედანზე, არამედ დგას ერთ ადგილას და იქიდან ესვრის ნადირებს ბურთს.

თამაშის მნიშვნელობა: ეს თამაში ანვითარებს ქვედა კიდურებს. მუცლის კუნთებს, გულმკერდს და ფილტვებს. თამაში ანვითარებს ყურადღებას, გამბედაობას და გამჭრიახობას.

მ. გორგაძე.

დახედეთ ამ ნახატებს

დაასახელეთ თითოეული მუშის პროფესია და მოგვწერეთ

სწორი გამოცნობის ვინაობა გამოქვეყნდება პიონერში

რედაქციისაგან

ჟ. „პიონერი"-ს № 4 მოთავსებული ბეზიმენსკის ლექსის „ქუდი"-ს და № 5-6 მოთავსებულ ვიქტორ გიუგოს ლექსის „ბარიკადების" თარგმანი ეკუთვნის მიქელ პატარიძეს.

მიწისძვრა ნახიჩევანის სს რესპუბლიკაში

27—29 აპრილს მიწისძვრამ გაანადგურა ნახიჩევანის სსრ ზოგი რაიონი. ამჟამად უკვე გამორკვეულია ამ მიწისძვრის შედეგი: და-



ზარალდა 77 სოფელი (19 სოფელი სულ დაინგრა, 58 კი—ნაწილობრივ). მოკვდა 81 კაცი, დაშავდა—362), ამათში 90 კაცი მძიმედ არის დაშავებული), გაწყდა აუარებელი პირუტყვი.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა მაშინვე მიიღეს ზომები სათანადო დახმარების აღმოსაჩენად. ძმური დახმარებისთვის გაიგზავნენ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების რაზმები, ამიერ-კავკასიის რკინის გზის ექიმთა რაზმი, ტფილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების რაზმი, სომხეთის წითელი ჯვრის, აზერბეიჯანის წითელი ნახევარმთვარისა და ნახიჩევნის წითელი ნახევარმთვრაის რაზმები.

კულაკობამ და სამღვდელოებამ სცადეს გამოეყენებიათ ეს საშინელი უბედურება თავის სასარგებლოდ და დაიწყეს აგიტაციის გაწევა საბჭოთა ხელისუფლების, კოლექტივიზაციის და სხვა ღონისძიებათა წინააღმდეგ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს—გლეხობა არ წამოეგო მათ ანკესს.

საჭიროა მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობის დარაზმვა ნახიჩევნის სსრ დაზარალებულთათვის ძმური დახმარების აღმოსაჩენად. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი, ცხადია, გულგრილად ვერ შეხვდებოდა ამ მოვლენას. სხვადასხვა ადგილას მოწყობილ კრებებზე მშრომელებს გამოაქვთ დადგენილება—იმუშაონ დასასვენებელ დღეს და ფული მთლიანად შესწირონ მიწისძვრისაგან დაზარალებულთ, არსდება დაზარალებულთათვის დახმარების აღმომჩენი კოშიხიები, აგროვებენ შემოწირულებას და სხვ. ყირიმის ცაკმა აცნობა ამიერ-კავკასიის ცაკს—10.000 მანეთს ვგზავნით მიწისძვრისაგან დაზარალებულთათვისო.

მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა შეაძრწუნა ამ მიწისძვრამ, რომელმაც აუარებელი მშრომელი, ააურებელი კოლმეურნე დასტოვა ცის ქვეშ, უსახლკაროდ, გაუწყვიტა საქონელი. ზოგ სოფელში ცხვარი მთლიანად გაწყდა. ბევრგან იყო ჭკუაზე შეშლის შემთხვევებიც.

აი რა მიმართვა დაგუზავნა ამიერ-კავკასიის კოლმეურნეობათა ცენტრმა საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის კოლმეურნეობის ცენტრებს, კოლმეურნეობის ყველა საოლქო და რაიონულ კავშირებს, გამგეობებს, ყველა კოლმეურნეს:

ამხანაგო კოლმეურნეებო! ა.-წ. 27 აპრილს საღამოს 9 საათსა და 25 წუთზე ნახიჩევანის ს.ს. რესპუბლიკაში და სომხეთის ს.ს. რესპუბლიკაში მოხდა ძლიერი მიწისძვრა. ახობით დაიღუპნენ კოლმეურნეები, კოლმეურნე ქალები და მათი ბავშები. ძმურ დახმარებისაკენ მოგვიწოდებენ ჩვენ დასახიჩრებული, დაშავებული, უსახლკაროდ დარჩენილი კოლმეურნეები, რომელთაც აღარ გააჩნიათ საწარმოო საშუალებანი და საარსებო სახსრები. ამიერ-კავკასიის ს.ს.ფ. რესპუბლიკის კოლმეურნეები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ მიწისძვრისაგან დაზარალებულთათვის დახმარების საქმის მოწყობას და ამით ცხადჰყონ კოლმეურნეთა რიგების მთლიანობა.

ა.-კ. კოლმეურნეობის ცენტრის გამგეობამ ა.-წ. 29 აპრილის სხდომაზე დაადგინა:

1. მიწისძვრისაგან დაზარალებულთათვის პრაქტიკული დახმარების გაწევის ორგანიზაციის ხელმძღვანელობისათვის გამოიყოს კომისია ამხ. ავისის, კახრამანოვის და იაროსლავსკის შემადგენლობით.



2. წინადადება მიეცესთ რესპუბლიკების კოლმეურნეობის ცენტრებს, კოლმეურნეობის საოლქო და სარაიონო კავშირებს და კოლმეურნეთა გამგეობებს—დაუყოვნებლივ შეჰქმნან ანალოგიური კომისიები ადგილებზე და დაკვრითი ტემპებით დარაზმონ კოლმეურნეთა მასა დაზარალებულთათვის დახმარების გასაწევად.

3. ტელეგრაფით გადაეგზავნოთ ნახიჩევანის ს.ს. რესპუბლიკის და სომხეთის ს.ს. რესპუბლიკის კოლმეურნეობის ცენტრებს ხუთ-ხუთი ათასი მანეთი მიწისძვრისაგან დაზარალებულ კოლმეურნეთათვის პირველი დახმარების აღმოსაჩენად.

4. დაეკალოს ამხ. ცაგარელს, რომელიც ნახიჩევანის ს.ს. რესპუბლიკაში იმყოფება, გაუძღვეს ნახიჩევანის საბჭოთა რესპუბლიკაში მიწისძვრისაგან დაზარალებულ კოლმეურნეთათვის დახმარების გაწევის საქმეს.

5. დაუყოვნებლივ გაიგზავნოს ამიერკავკასიის კოლმეურნეობის ცენტრის ბრიგადა სომხეთის ს.ს. რესპუბლიკის იმ კოლმეურნეთათვის დახმარების მოსაწყობად, რომელნიც მიწისძვრისაგან დაზარალდნენ.

6. ეთხოვოს საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობის ცენტრს, რათა მან მოაწყოს საბჭოთა კავშირის კოლმეურნეთა შორის ძმური დახმარება საბჭოთა ამიერ-კავკასიის კოლმეურნეებისათვის, რომელნიც მიწისძვრისაგან დაზარალდნენ.

ამიერ-კავკასიის კოლმეურნენო! ამიერკავკასიის კოლმეურნეობის ცენტრის გამგეობა მოგიწოდებსთ თქვენ—დაეხმაროთ სომხეთის და ნახიჩევანის მხრის დაზარალებულ კოლმეურნეებს, რათა ამ უკანასკნელებმა რაც შეიძლება მალე მოიშუშონ თავიანთი ჭრილობები, კვლავ ჩადგენ სოციალიზმის მშენებელთა რიგებში და განაგრძონ პარტიის და მთავრობის დავალებათა შესრულება ბოლშევიკურ მეორე თესვის წარმატებით დამთავრებისათვის. სომხეთის და ნახიჩევანის მხრის დაზარალებულ კოლმეურნეობათა მინდვრები არ უნდა დარჩეს დაუთესავი და დაუმუშავებელი.

საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის კოლმეურნეებო! ფართოდ გაუწიეთ ძმური დახმარება დაზარალებულთ.

ა.-კ. კოლმეურნეობათა ცენტრი.

რამდენი ბავში დარჩა უდედ-მამოდ, რამდენი დასახიჩრდა!! აი ქალი, რომელიც დადის დანგრეულ სახლებთან და იცინის, იცინის. რა დროს სიცილია, რა დროს სიცილია, როდესაც ირგვლივ შემაძრწუნებელი კვნესა-ვაება გაისმის!

მაგრამ განა ეს ნორმალური ადამიანის სიცილია, მხიარულების გამომხატველია? არა, საბრალო ქალი შეირყა, მისი ბავშები ნანგრევებში მოჰყვნენ, მისი საყვარელი შვილები!

აგერ ფეხი მოჩანს ქვების გროვაში, ეგერ გდიან ერთად, ჩახუტებულნი და-ძმანი...

ყველანი, ყველანი დავირაზმოთ დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად!

პიონერებო! თქვენ რა ნაბიჯები გადადგით? შეაგროვეთ თუ არა პიონერებსა და



შეუკავშირებელ ბავშებს, აგრეთვე თქვენს დედ-მამებს შორის შემოწირულება?

27 აპრილს დაზარალდენ მშრომელნი, დაინგრა 8.000 სახლზე მეტი, მაგრამ ჩვენ, დიადი საბჭოთა კავშირის მშრომელნი საე-

რთო ძალ-ღონით შევსძლებთ შევუმსუბუქოთ აუტანელი მდგომარეობა მიწისძვრისაგან დაზარალებულ მშრომელებს...

შ. თ.